# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბუთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-ორშაბათი, 25-27 ივლისი. 2020 წ. №92 (9018) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

# გაარჩნია, ვინ როგორ მომავალს ვირჩევთ!

## ანუ იგულისხმეთ ივანიშვილი...

**საქართველოში მუდამ მღეროდნენ, წუთისოფლის სტუმრები ვართო, მაგრამ ამ სიმღერაში არ არის ნათქვამი, რომ ამ სტუმრებში ბევრი დაუპატიჟებელია, რომლებიც მალეფუჭად საქონელს აწარმოებენ და წამლავენ ხალხს. ეს განსაკუთრებით ყოველთვის წინასაარჩევნოდ ხდება, როცა ზემოხსენებული დაუპატიჟებელი სტუმრები ყოველგვარ ხერხს მიმართავენ დაპატიჟებულთა სუფრიდან გასაყრელად და სუფრის თავში წამოსასკუპებლად.**

აი, ზუსტად ასეთი დროა დღეს. დაუპატიჟებელნი პირაქაფებულნი დაერივნენ დაპატიჟებულთ და სინდისდალამებულნი ვითომ ახალი, უკეთესი ცხოვრების გასათენებლად იბრძვიან, დიახ, ეს დაუპატიჟებელნი და სინდისდალამებულნი, წუთისოფლის ცუდი სტუმრები არიან გაერთიანებულნი კარგი, თვით მასპინძელი წუთისოფლისგან დაპატიჟებული სტუმრების წინააღმდეგ. ასეა ეს, რადგან ცუდი და ბოროტი ადამიანები ბევრად უფრო ადვილად ერთიანდებიან, ვიდრე კარგი და კეთილი ადამიანები, რომელთა მიზანიც, ცუდი ადამიანებისგან განსხვავებით, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაა.

ამ ცუდმა ადამიანებმა „ოცნება“ დროისა და ცხოვრების მოცდენად აღიარეს. „ოცნება“ მოცდენასთან გარითმეს. „ოცნება“ ენაზე დაიკრეს როგორც რომ უვარგისი პარტია და სიკვდილთან ერთად თუ რამ უბედურებაა ქვეყნად, ამ პარტიას აბრალებენ. ყველაფერს, სრულიად ყველაფერს. ბოდიში, მაგრამ, ვთქვათ, ვისმე დუნდულზე მუწუკი გამოუვიდა, რასაკვირველია, „ოცნების“ ბრალია (იგულისხმეთ ივანიშვილი), ასევე, ვთქვათ, თავსხმა მოვიდა, რასაც სეტყვაც მოჰყვა და ჩარეგვა მთელი კახეთი, რასაკვირველია, „ოცნების“ ბრალია (იგულისხმეთ ივანიშვილი), კიდევ, ვთქვათ, რძალმა დედამთილზე ხელი აღმართა, რასაკვირველია, „ოცნების“ ბრალია (იგულისხმეთ ივანიშვილი), კიდევ, ვთქვათ, ვიღაცას, რა თქმა უნდა, ნაციონალთ მხარდამჭერს ყაბზობა ტანჯავს, ვინაიდან სიძვირის გამო წესიერად ვერ იკვებება, რასაკვირველია, „ოცნების“ ბრალია (იგულისხმეთ ივანიშვილი).

ახლა რაც შეეხება სიკვდილიანობას. ძველი ხელისუფლების ბატონობის ჟამს 1700-ზე მეტი დანაშაულია აღნუსხული, ცხრა წლის მანძილზე, აქედან, არ იგულმავიწყოთ, რომ პირდაპირ ქუჩაშია დახვრეტილი ორასამდე საჯიშე ახალგაზრდა, მეტი თუ არა, ამდენივე ჭაბუკი გაიხრწნა თაკარა მზეზე უპატრონობით ავადსახსენებელ 2008 წლის აგვისტოს ომში, რომელიც ბოროტად უგუნურმა, ჰალსტუხიჭამია სააკაშვილმა გააჩაღა და ხელიც მოუწერა ოკუპანტს, რომ ჩვენი მიწა-წყლის 20 პროცენტს უთმობდა. აღარაფერს ვამბობთ, არც ცნობილ ციხის ბუნტზე, არც კიდევ „ცოცხების ბალადაზე“, რასაც ასევე ბევრი უსამართლოდ დაპატიმრებული და ნაწამები ადამიანი შეეწირა... და აი, ეს ცუდი და ბოროტი ადამიანები, ამ წინასაარჩევნოდ გაერთიანებულნი (რასაც კარგი, კეთილი ადამიანები, სამწუხაროდ, ვერ ახერხებენ), გაჰყვირიან, რომ ახლა უკვე ის ძველი ნაციონალები აღარ არიან, გაკეთილშობილდნენ, გაანგელოზდნენ და ამიტომაც მოფრინავენ ისევ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

**მართალია, რეჟისორი შორს, უკრაინაში ჰყავთ, მაგრამ ეს ხელს სულაც არ უშლით „ოცნებასთან“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სამაგიეროდ, აქ არიან ეგრეთ წოდებული „მთავარი არხი“, „პირველები“ და „ფორმულა“, რომელთაც მომაბეზრებელი წრუწუნით მხარს უბამს სრულიად „კავკასია“ (დასახელებები როგორ მოგწონთ?!). სულ მთავრები, პირველები, ბედნიერების ფორმულები და კავკასიები არიან! სადაც სიცრუის, ცილისწამებისა და მუქარის კორიანტელს აყენებენ ძველი დამნაშავე, მაგრამ ამჟამად „გაანგელოზებული“ კანდელაკები, ბოკერიები, გოგორიშვილები, დეკანოიძეები, ჭიაბერაშვილები, გოცირიძეები, ხოშტარიები, სამადაშვილები, კაპანაძეები, აბესაძეები, ნადირაშვილები, უგულავები, სანიკიძეები, გელბახიანები და კუსავით ავად ფეხგამოყოფილი ოქრუაშვილები (რომლის შემქმნელი მამაც, საეჭვოდ გვარგამოცვლილ ირაკლიზეა ლაპარაკი, გვარად ვოსკანოვი, ერთხანს კარგ კრიტიკულ წერილებს აგზავნიდა ცხინვალიდან ჩვენს გაზეთში)...**

ყველაფერი შედარებითია ამქვეყნად. ცხადია, არც „ოცნებაა“ მთლად ფრთიანი ანგელოზი, მაგრამ ამჟამინდელ ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციასთან შედარებით, „ოცნება“ აგერ უკვე მთელი რვა წელიწადია, მშვიდობიან ვითარებაში აცხოვრებს ქვეყანას, ქუჩებში არავის აღარ ხვრეტენ, ციხეებშიც ლილა გაუხუნდათ ცოცხებს, ხელისუფლება აშკარად ებრძვის უმუშევრობასა და სიღარიბეს, მაგრამ ამას ყველაფერს დანახვა უნდა. აკი ერთი ძველი ანდაზაც ამბობს, უმადური კაცი რიყეზე ქვასაც ვერ ამჩნევსო.

„ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო ძველ ბოროტმოქმედ ხელისუფალთა დასჯა, რაც არ თუ ვერ შეასრულა, პირიქით, ამ ბოროტებასთან უხილავი კორონავირუსისგან განსხვავებით, ხილულ მტერთან თანაარსებობა გამოაცხადა. ამიტომაც არის, რომ დღეს ბოროტებასთან და კორონავირუსთან ერთდროულად გვიხდება თანაარსებობა. განსხვავება ის არის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“, იმედია, ჩვენი ხალხის გონიერების წყალობით, ოქტომბერში გავემიჯნებით, ხოლო ეს წყეული ვი(რუსი) არჩევნების მერეც თან გამყვება.

მთავარია, ახლა მაინც არ მოვტყუვდეთ, ენაწაგდებულმა ბოროტებამ ტვინი არ გადაგვიბრუნოს და თუნდაც გულუბრყვილონი არ დააჯეროს, რომ ქვეყნისა და ხალხის ბედნიერი მომავლისთვის იბრძვის. ეს ჩემი გულიდან ამოძახილი ერთი ძველი ანტიფაშისტის შეძახილით უნდა დავამთავრო: **ადამიანებო (ქართველნო), იყავით ფხიზლად!** და შესძლებისდაგვარად ავითარებს დემოკრატიას, რომლის წყალობითაც დღეს ლამის ქვეყანა წალეკოს უსაგნო და ხშირად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულმა ლაქლაქმა.

თითქმის სუყოველი ტელევიზიის ეკრანიდან ერთი და იმავე სახეების ტყუილებისა და ბოროტი ცილისწამების ნიაღვარი იღვრება, ესეც თქვენი დემოკრატია! რასაც ხმალშემართული ებრძოდა სააკაშვილი თავის სისხლიან ლაშქართან ერთად.

აი, სწორედ ნაციონალთა სისხლიანი ლაშქარია დღეს სამუდამოდ დასამარცხებელი. გულუბრყვილონო, არამც და არამც არ უნდა ვერწმუნოთ ამ სისხლიანი ლაშქრის დაპირებულ ბედნიერ მომავალს.

ოქტომბერში დიდი გამოცდის წინაშე სწორედ ამიტომ აღმოვჩნდებით, გაარჩნია, ვინ როგორ მომავალს ვირჩევთ! არა მგონია, რომ „ოცნებამ“ (იგულისხმეთ ივანიშვილი!) ამომრჩეველს იმედი გაუცრუოს.

ნუ ვიქნებით მჭადიდან ნახშირის ვერგამომრჩევნი!

**გურამ წიკლაური**

## ვაჟა ოკუჯავა – ჭეშმარიტი ერუდიტი, მეცნიერული ძიების ჟინით განმსჭვალული მკვლევარი ⑤

## ოპოზიციური არხები პირდაპირ „ხვრეტენ“ საზოგადოებრივ ზნეობას ④

## „ოცნების“ ამერიკელ ლობისტებს მათრახი სჭირდებათ! ③

## ფართოდ გაახილეთ თვალები, აფხაზებო! ⑧

**ხარისხიან განათლებაზე წვდომის შეზღუდვა აფხაზი საზოგადოების მიზნებს ეწინააღმდეგება!**

# გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 28 ივლისს

## კელი დეგნანი: თავდაცვის ავტორიზაციის კანონპროექტში საქართველოს შესახებ ბევრი პოზიტიური კომენტარია

**აშშ-ის სენატის მიერ თავდაცვის ავტორიზაციის კანონპროექტის დამტკიცებას ამერიკის ელჩი ჟურნალისტებთან საუბრისას გამოეხმაურა.** კელი დეგნანის თქმით, ამ კანონპროექტში ბევრი პოზიტიური კომენტარია იმის შესახებ, თუ რას მიაღწია საქართველომ და კიდევ რა უნდა გააკეთოს მომავალში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს გასაძლიერებლად.

**„თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ და მნიშვნელოვნად აღვიქვათ ის კომენტარი თუ გზავნილი, რომელიც მოდის სენატორ რიშისგან თუ ნებისმიერი სხვა წარმომადგენლისგან, რადგან ეს ის ხალხია, რომელიც ზრუნავს საქართველოზე. ისინი კარგად იცნობენ ქვეყანას და სურვილი აქვთ, იხილონ მისი წარმატება და განვითარება“,** — განაცხადა კელი დეგნანმა. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2021 ფისკალური წლის აშშ-ის თავდაცვის ავტორიზაციის კანონპროექტი შეიცავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიმართულებით ძლიერ მხარდამჭერ გზავნილებს.

## „ფრონტერას“ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას მივესალმებით!

**„ჩვენ მივესალმეთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს გახლავთ კარგი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს მთავრობა არის ღია საუბრისთვის, კომუნიკაციისთვის კომპანიასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კარგი იქნება თუ მოხდება ეს კომუნიკაცია, მოლაპარაკება და ეს საკითხი დიალოგისა და შეთანხმების მიღწევის გზით გადაწყდება. საქართველოს მხრიდან სურვილი კომუნიკაციისა და ღიაობა არსებობს“,** — განაცხადა კელი დეგნანმა.

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ მოშალოს „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენთან“ კონტრაქტი და შესაძლებლობა მისცეს კომპანიას, საქმიანობა განაგრძოს საწყისი საკონტრაქტო ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც ნავთობის მოპოვება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მიმდინარეობდა.

## „როგორ შევქმნათ სტარტაპი“...

**„როგორ შევქმნათ სტარტაპი“ — საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო პროექტს იწყებს.**

სააგენტოს განცხადებით, პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შემდეგი ქალაქებიდან: ზუგდიდი, ბათუმი, თელავი და კასპი. პროექტის მიზანია ახალგაზრდებში დარგის პოპულარიზაცია, მსოფლიო ტრენდების გაცნობა და მათი იდეების განხორციელების ხელშეწყობა.

**„კურსის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები: პროექტზე გუნდურად მუშაობა, ბაზრის კვლევა, პროდუქტის ტექნიკური აღწერის მომზადება და პრეზენტაცია, სხვადასხვა ბიზნეს მოდელის განხილვა და დისკუსიები, ფინალური პრეზენტაციები და ა.შ.**

**პროექტი ხორციელდება „Kings Georgia“-თან ერთად და კურსს წარუძღვებიან საქართველოს წამყვანი და გამოცდილი ტრენერები, რომელთაც სტარტაპებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. კურსი გაიმართება ონლაინ რეჟიმში, ხოლო შემაჯამებელი შეხვედრები — რეგიონალურ ტექნოპარკებში.**

**განცხადებები მიიღება 9 აგვისტოს, 23:59 საათამდე. პროექტის ფარგლებში 40 მონაწილე შეირჩევა“,** — აცხადებენ სააგენტოში.

## ახალი ტურისტული კომპლექსი სოფელ რუისპირში

**კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში ახალი ტურისტული კომპლექსის „ვილა გოდოლი“ მშენებლობის პროცესს გაეცნო, რომლის საინვესტიციო ღირებულება 15 მილიონი ლარია.**

56-ნომრიანი ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა 2019 წლის აგვისტოში დაიწყო და 2021 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს. ობიექტის მშენებლობაზე ადგილობრივები არიან დასაქმებულები. „ვილა გოდოლის“ მფლობელის შალვა ქოჩლაძის თქმით, სასტუმროს გახსნის დღიდან ობიექტზე 80-მდე ადგილობრივი დასაქმდება და წლიური სახელფასო ფონდი ერთი მილიონი ლარი იქნება. სასტუმროს გარდა, ინვესტორი 7,5 ჰექტარზე ვენახის გაშენებასა და მაღალი კლასის ვილების მშენებლობის დაწყების მეორე ეტაპსაც აანონსებს.

## გუდაური ხელოვნური გათოვლიანებისთვის ემზადება

**წყალმომარაგების კომპანია გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ასრულებს, სადაც ამ დროისთვის ახალი რეზერვუარის წყლით შევსება მიმდინარეობს.**

შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილმა, მხარის გუბერნატორთან, წყალმომარაგების და მთის კურორტების განვითარების კომპანიების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში უკვე აშენდა ხელოვნური ტბა, მიმდინარე სამუშაოები კი ამ ტბისთვის რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობას ითვალისწინებს.

## საქართველო მადლობას უხდის ამერიკელ პარტნიორებს სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნაში შეტანილი დიდი წვლილისთვის

**200 ბავშვზე და 250 ზრდასრულზე გათვლილი სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი საქართველოში, ამ საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურა ერთად, რა თქმა უნდა, ერთობლივი მიღწევაა და ნამდვილად შთამბეჭდავია ეს ყველაფერი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, „კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა.**

მთავრობის მეთაურმა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

**„რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა, ასეთი შესანიშნავი, სისტემური თანამშრომლობის გარეშე, სადაც იყო კომპეტენცია ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ემორის უნივერსიტეტიდან, სადაც იყო ქართული ბიზნესის, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერა. ამ ყველაფერმა ერთად მოგვცა ის შედეგი, რომელიც გვაქვს. შედეგი არის ეს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე და ამაზე დიდი მიზანი, რომ ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩვენი ყოველდღიური, ნორმალური ცხოვრების ღირსეულ პარტნიორებად გავხადოთ, არ არსებობს. ეს არის, როგორც სახელმწიფოს, ისე ჩვენი თითოეული მოქალაქის მიზანი და, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი იყოს წარმატებული და გარდა იმისა, რომ მოემსახურება ჩვენს მოქალაქეებს, პატარებს, ჩვენს შვილებს, ჩვენს ზრდასრულ თანამოქალაქეებს, რა თქმა უნდა, ამას ექნება სერიოზული რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობა“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა USAID-ის წვლილს ამ პროექტის დასრულებაში.

**„აშშ USAID-ის საშუალებით, ბევრს გვეხმარება ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ამ დახმარების ჯამური ოდენობა 1.5 მლრდ-ზე მეტია, თუმცა ეს არ განისაზღვრება ფინანსების რაოდენობით, აქ ყველაზე მთავარია ის წვლილი, რომელიც USAID-სა და აშშ-ის მთავრობას ქართული დემოკრატიის კონსოლიდირების მიმართულებით შეაქვთ. ეს ყველაზე დიდი მიღწევაა. ინსტიტუტების სიძლიერე, ჩვენი განათლებისა და სამედიცინო სისტემების სიძლიერე, ეს არის ყველაფერი, რაც გზას უხსნის და ქართულ დემოკრატიას ხდის ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო წარმატებულს. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა. კენ ვოლკერი იყო ამ პროექტის სულის და იდეის ჩამდგმელი და, რა თქმა უნდა, ჩვენ მასაც აქედან დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ. მინდა, წარმატება ვუსურვო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ შესანიშნავ სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრში განაგრძობს მუშაობას და ყოველწლიურად ჩვენს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, იყვნენ ფუნქციურად დამოუკიდებელი, ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები“,** — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ მიზანია რეგიონში პირველი საერთაშორისო გამოცდილებებზე დაფუძნებული, მაღალკვალიფიციური სარეაბილიტაციო მომსახურებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასწავლო ბაზის შექმნა. კენ ვოლკერის კლინიკა პირველია ამიერკავკასიაში, რომელიც აღჭურვილია ამერიკული და ევროპული მაღალტექნოლოგიური სარეაბილიტაციო მოწყობილობებით და საჭიროების მქონე პირებს სთავაზობს სრულ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ სარეაბილიტაციო მომსახურებას.

**ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მისეილ ჩხენკელი, აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, USAID-ის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში პიტერ ვიბლერი და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

## გახარია გომელაურს არ გადააყენებს!

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის თანამდებობიდან გაშვებას არ აპირებს.

ამის შესახებ, გახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

**„არანაირი კითხვის ნიშნები ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, ერთი საქმეც და მეორეც სრულფასოვნად იქნება გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი. ვიღაც პოლიტიკური მოღვაწეების მოთხოვნის გამო, როგორ წარმოგიდგენიათ, ეს სერიოზულია? — არასერიოზულია!“** — განაცხადა გახარიამ.

გახარიამ ასევე განმარტა, მთავრობის სხდომის დაწყებისას გაკეთებული საკუთარი განცხადება და აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას გარკვეული რეფორმირებები სჭირდება.

**„გამოძიებაზე ვთქვი ის, რასაც აქამდე ვამბობდი, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი. საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას გარკვეული რეფორმირებები სჭირდება. ეს ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ამას ვაკეთებდი შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. სისტემური განახლება რაც იყო, ეს იყო სწორედ ის რეფორმების მიმართულება, რომელიც უნდა გაგრძელდეს. მოგეხსენებათ, ქვეყანაში ეპიდემიური კრიზისი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ყველაფერი ერთად დაემთხვა. ეს ყველაფერი გასაგრძელებელია. რა თქმა უნდა, გამოძიების ფუნქციის გამიჯვნა აუცილებელია იმისთვის, რომ გამოძიების ხარისხი გაძლიერდეს. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მართლმსაჯულების სისტემაში“.**

# ფილიპ რიკერი: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში მიმდინარე პროცესებს ახლოდან აკვირდება

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოქმედმა თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ რიკერმა, რომელიც ევროპული ტურნეს ფარგლებში სახელმწიფო მდივან პომპეოს თან ახლდა, ბრიუსელიდან ჟურნალისტებისთვის სატელეფონო ბრიფინგს უმასპინძლა. რიკერის განცხადებით, მაიკ პომპეომ ტურის ფარგლებში ლონდონში, კოპენჰაგენსა და ბრიუსელში იმოგზაურა. სწორედ რიკერმა შეაჯამა ეს ვიზიტი და თქვა, რომ პომპეო უკვე აშშ-ში დაბრუნდა.**

ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია (ცოტა ხნის წინ) კონგრესში ასიგნებების კომიტეტის მიერ წამოყენებული კანონპროექტი, რომელიც საქართველოს დემოკრატიის კუთხით დახმარების ნაწილს უჩერებს, ფილიპ რიკერმა აღნიშნა, რომ საქართველო ბევრი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პარტნიორია. მისი თქმით, ის დეტალებს არ ჩაუღრმავდება, თუმცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში მიმდინარე პროცესებს ახლოდან აკვირდება, აგრძელებს მუშაობას ქართულ მხარესთან და ასევე მუშაობს აშშ-ის კონგრესთნ, რომელსაც ამ საკითხში დიდი ინტერესი აქვს და რომ საქართველოში აშშ-ის საელჩოს და პირადად ელჩ დეგნანს ამ პროცესებში სრული ჩართულობა აქვთ.

რიკერმა აქვე იმედი გამოთქვა, რომ მას საქართველოში ჩასვლის საშუალება მალე მიეცემა.

**მსოფლიოში** **პოპულარული სამოგზაურო პლატფორმა Lonely Planet საქართველოს მთავრობის ახალ პროექტს „იმუშავე დისტანციურად საქართველოდან“,** — ვრცელ სტატიას და ვიდეო რგოლს უძღვნის.

ახალი პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ვიზიტორებს ქვეყანაში 6 თვეზე მეტი ხნით ცხოვრების უფლებას სთავაზობს.

**„კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გამო საზღვრების დახურვამ გვაიძულა, გადავხედოთ ჩვენს სამუშაო და სამოგზაურო გზებს. პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველო ციფრული და მზარდი ტურისტული მიმართულების ცენტრად ყალიბდება. კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს საქართველომ მყისიერი პასუხი გასცა, შედეგად ამ ქვეყანაში ინფექციის მხოლოდ 1000 შემთხვევაა დაფიქსირებული.**

**საქართველო დისტანციურად მომუშავე პირებს გრძელვადიანი პერიოდით ქვეყანაში დარჩენის შესაძლებლობას აძლევს. დაინტერესებულმა პირებმა ონლაინ-აპლიკაცია უნდა შეავსონ და დადასტურება მიიღონ. რაც მოიცავს სამოგზაურო დაზღვევას, დამსაქმებლის სერტიფიკატს და პერსონალურ ინფორმაციას. ჩამოსვლის წინ ვიზიტორებს საკუთარი ხარჯებით 14-დღიანი კარანტინის გავლა მოუწევთ“.**

◎ არჩევნებამდე 95 დღით ადრე...

# „ოცნების“ ამერიკელ ლობისტებს მათრახი სჭირდებათ!

**1992 წლის შემდეგ რთულია, გაიხსენო საქართველოს რომელიმე არჩევნები, სადაც ასეთი დიდი დოზით ყოფილიყო საერთაშორისო ჩარევა და ამ მხრივ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ნამდვილად შევა ისტორიაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს უახლეს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ საარჩევნო სისტემაზე მოლაპარაკებები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის უცხოელი ელჩების შუამავლობით წარმართულიყო, ხოლო საბოლოო შეთანხმების ხელმოწერა აშშ-ის საელჩოში მომხდარიყოს. თუ რა სიმბოლური და პოლიტიკური დატვირთვა ახლავს თავად ამ ფაქტს, ქვეყნის სუვერენიტეტის ასპექტში, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ვერ მოხდებოდა, რომ არა ის უპრეცედენტო საერთაშორისო ზეწოლა, რაც ხელისუფლებაზე განხორციელდა. ამ ზემოქმედების ინიცირებაში კი ლომის წილი ოპოზიციაზე მომუშავე ლობისტური კომპანიების ზეაქტიურობას და „ოცნებაზე“ მომუშავე ლობისტების პასიურობას მიუძღვის.**

როგორც არ უნდა ეხამუშებოდეთ „ქართული ოცნების“ წევრებს და მათ მომხრეებს, ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ნაციონალების ლობისტებმა აშშ-სა და ევროპაში, მათთვის სასურველი მოკლევადიანი, მაგრამ ხელშესახები შედეგი დადეს, რამაც ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესზე, გარკვეულწილად უკან დაახევინა „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციამ ეს საკუთარ გამარჯვებად გაასაღა.

**რას აკეთებენ ამ დროს „ქართული ოცნების“ მიერ დაქირავებული ლობისტები აშშ-ში და რა შედეგს აჩვენებენ?! თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ მათ მიერ დაქირავებული Hogan Lovells ნამოღვაწარს (ისინი საჯაროა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს საიტზე) კონკრეტულ ქეისზე — 13 რესპუბლიკელი კონგრესმენის ხელმოწერილ გახმაურებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტზე The RSC National Security Strategy: Strengthening America & Countering Global Threats, სადაც ბიძინა ივანიშვილი მოხსენიებულია როგორც პუტინის მოკავშირე და ა.შ.**

ანგარიშის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში Hogan Lovells წარმომადგენელი, ყოფილი სენატორი **ნორმან ქოლემანი** წერს აბსოლუტურად იდენტური შინაარსის წერილს იმ ანგარიშის ხელმომწერ კონგრესმენების აპარატის თანამშრომლებს(!), რომელსაც თან ურთავს პარტია „ქართული ოცნების“ განცხადებას, რომელშიც გამოთქმულია უკმაყოფილება პარტიის თავმჯდომარის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების გამო.

**თუმცა, აქ ნიშანდობლივია ლობისტის მიერ სამიზნე აუდიტორიასთან გაგზავნილი წერილი, სადაც წერია, რომ მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ გამოხატავს „გარკვეულ შეშფოთებას“ პარტიის ლიდერის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების გამო. დავიწყოთ წერილით. რამდენიმე კონგრესმენთან ელ-ფოსტით დაგზავნილი წერილები აბსოლუტურად იდენტურია როგორც შინაარსით, ისე პათოსით. ყველა წერილს ახლავს სტანდატული მორიგი პასაჟი, რომ „ქართული ოცნება“ მოუთმენლად ელის, იმუშაოს ამ კომიტეტის წევრებთან აშშ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი გამყარებისათვის“.**

თუმცა, ლობისტურ კონტექსტში უფრო საინტერესოა წერილის ბოლო წინადადება, სადაც ლობისტი ყოფილი სენატორი **ნორმან კოულმენი** კონგრესმენებს ეუბნება: **„გთხოვთ, მაცნობოთ, თუ რაიმე კითხვა გაქვთ და როგორც ყოველთვის მოხარული ვიქნები ნებისმიერი გამოხმაურების, რომელიც თქვენ შეიძლება გქონდეთ“.**

გამოვყოფ ორ ძირითად მომენტს:

**1. ლობისტი ძალიან მსუბუქ ფორმებში აღწერს „ქართული ოცნების“ წუხილებს ანგარიშთან მიმართებაში, რითაც წერილის ადრესატს შეიძლება შეექმნას განცდა, რომ ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანია პარტიისთვის. დიდი ალბათობით ადრესატები არც წაიკითხავდნენ „ქართული ოცნების“ ვრცელ განცხადებას, რომლის სტილის განხილვაც კიდევ ცალკე საკითხია.**

**2. ლობისტი კონგრესმენებს უტოვებს გადაწყვეტილებას გამოეხმაურონ თუ არა წერილს, ანუ ლობირება წარმოებს არა აქტიურად, არამედ პასიურად.**

სამწუხაროდ, არ გამაჩნია სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაცია თუ დამატებით რა ლობისტური აქტივობები განახორციელა ბატონმა კოლემანმა. თუმცა, შედეგი არის ის, რომ ამ დოკუმენტში ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. მან პირვანდელი სახით მოიარა დიდი აუდიტორია და შექმნა ნეგატიური განწყობები ივანიშვილის და „ოცნების“ მიმართ, რომლის გამოსწორებასაც გაცილებით მეტი დრო და რესურსები სჭირდება, თუკი საერთოდ არის შესაძლებელი.

ლობისტი ერთგვარი მედიატორია კლიენტსა და ლობიზმის ობიექტს შორის, მედიაცია კი არა მხოლოდ ცოდნაა, არამედ ხელოვნებაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ლობისტმა უბრალოდ მოვალეობა მოიხადა და „ქართულ ოცნებას“ დაანახა, რომ უსაქმოდ არ ზის და რაღაცას აკეთებს.

და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი გარემოება. როდესაც თხოვნით მოგმართავენ, მით უმეტეს რაღაც საქმის გასაჩარხად — ფაქტიურად ესაა ლობისტობა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ მოგმართავს, როგორია მისი წონა, გავლენა, ნდობა და ა.შ.

ყოფილი სენატორი ნორმან კოულმენი მისი ბიოგრაფიით https://en.wikipedia.org/wiki/Norm-Coleman თუ ვიმსჯელებთ, არ განეკუთვნება წონად ფიგურებს, მან უშედეგოდ გააპროტესტა 2008 წელს არჩევნებში დამარცხება, ეჭვმიტანილი იყო კორუფციულ სკანდალში და ა.შ. რაც მთავარია, ლობისტურ კომპანია Hogan Lovells-ში ის ამა წლის იანვრიდან გადადგა მთავრობასთან ურთიერთობისა და სახელმწიფო საქმეების სექციის ლიდერის თანამდებობიდან და მხოლოდ უფროსი კონსულტანტის ფუნქცია დაიტოვა. ეს კი არცთუ უმნიშვნელო ნიუანსია, ლობისტური საქმიანობისას. ლობისტის სტატუსი ბევრ რამეს განაპირობებს. შესაძლოა, სწორედ ასეთი წვრილმანებიც განაპირობებს იმას, რომ ჯერჯერობით „ოცნების“ ამერიკელ ლობისტებს შედეგის კუთხით სატრაბახო არაფერი აქვთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკასა და ევროპაში ლობისტური ქსელის შექმნა და სხვა ფორმალური თუ არაფორმალური კავშირების გაბმა არასოდეს ყოფილა „ქართული ოცნების“ პრიორიტეტი. 2016 წელს გუნდში ამ საქმისთვის მოყვანილმა შემადგენლობამ კი, რომ იტყვიან, ვერ ივარგა.

**უცხოეთში ქართული პოლიტიკური პარტიების ლობისტური საქმიანობის შეფასება ჩვენთან ხშირად ისეთივე ზედაპირულია, როგორც სხვა საკითხების. მაგალითად, საკმარისი იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობ კონგრესმენ ადამ კინზინგერს განეცხადებინა, რომ რომ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი, სადაც საქართველოსთვის დახმარების 15% შესაძლო შემცირებაზეა საუბარი, არ გულისხმობს სანქციებს, როგორც ამას ნაციონალები ამტკიცებენ, ეს მაშინვე მიჩნეულ იქნა „ოცნების“ ლობისტების მუშაობის შედეგად. არადა, კარგი იქნებოდა დეტალურად წაეკითხათ, თუ რა წერია კანონპროექტსა და მის განმარტებით ბარათში და გაერკვიათ, არის თუ არა კინზინგერი „ოცნების“ ლობისტთა ადრესატების სიაში. ინფორმაცია ხომ საჯაროა! „ოცნების“ ლობისტების მუშაობის ავკარგიანობა კი გამოჩნდება იმით, თუ რა სახით დამტკიცდება ეს კანონპროექტი კონგრესსა და სენატში და რას დაწერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.**

შესაბამისად, ლოგიკა კარნახობს „ქართულ ოცნებას“ (და არა მხოლოდ მას), რომ რაც შეიძლება გულდასმით შეარჩიონ ლობისტური კომპანიები და როგორც კლიენტმა სათანადო კონტროლი გაუწიოს მათი საქმიანობის ხარისხს.

**ზაალ ანჯაფარიძე**

**დღეს ნომრის სტუმარია პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე**

# ოპოზიციური არხები პირდაპირ „ხვრეტენ“ საზოგადოებრივ ზნეობას



## რაზე მეტყველებს მედიით „გრიფით საიდუმლო“ მასალების გასაჯაროება?!

**გიორგი შაქარაშვილის საქმის მასალები, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნა და მთლიანად საგამოძიებო „საიდუმლოებანი“ გასაჯაროვდა პირდაპირ ეთერში. ეს პროცესი გრძელდება და მიმდინარე გამოძიებაზე საქმის მასალები ოპოზიციური მედიის ხელში გადადის. როგორ ხდება მიმდინარე გამოძიების საქმე საჯარო და ვინ ახერხებს ამ მასალების გამოტანას?**

**სოსო მანჯავიძე:** ამის შესახებ დავწერე სოციალურ ქსელში — ფაქტობრივად, „რეალითი შოუ“ გამოდის. გამოძიება გულისხმობს, რომ გარკვეული მოქმედებები უნდა ტარდებოდეს გაუხმაურებლად. გამომძიებელს აქვს თავისი ტაქტიკა, რომ საქმეზე დაადგინოს სიმართლე. შესაბამისად, საგამოძიებო პროცედურებიც უნდა იყოს გაუხმაურებელი, რომ დაცვის მხარემ ან ბრალდებულებმა არ შეიმუშაონ კონტრსტრატეგია, არ დამალონ სიმართლე და ა.შ. — ეს ელემენტარულია.

როდესაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ხდება „გრიფით საიდუმლო“ მასალების გასაჯაროება და თანაც ამას უწყვეტი ხასიათი აქვს, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. კერძოდ იმაზე, რომ თვითონ საგამოძიებო ორგანო ვერ იცავს ინფორმაციას გასაჯაროებისგან. ვერ იცავს იმიტომ, რომ საგამოძიებო ორგანოებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც წვდომა აქვთ ინფორმაციებთან და მათ ინტერესში შედის ამ ინფორმაციის გადაცემა.

**— ფაქტია, რომ საგამოძიებო მასალასთან წვდომა არა აქვს რიგით გამომძიებელს...**

— რა თქმა უნდა, ინფორმაციაზე წვდომა არ ექნება კარისკაცს. ინფორმაციაზე წვდომა აქვს გამომძიებელს, მასზე ზედამხედველს. ანუ, ესენი არიან თანამდებობის პირები, რომლებიც მიზანმიმართულად აწვდიან ინფორმაციას ოპოზიციას და მასთან დაკავშირებულ მედიას.

**— აწვდიან იმიტომ, რომ აქვთ გარანტია ეს ოპოზიცია და მედია მათ არ გაწირავს და ასეც ხდება, ამბობენ, რომ წყაროს არ დაასახელებენ, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ წყარო არის შსს-ს გენერალური ინსპექცია...**

— როცა ამაზე სახელმწიფო ვერ რეაგირებს, ამას უკვე სახელმწიფოს სისუსტეც არ ჰქვია. საერთოდ, გაუგებრობაში რომ ვართ, ეს იმის ნიშანია. ეს ხომ პირველად და მეორედ არ ხდება?! ამ თვალსაზრისით, სრული ბაკქანალია გვაქვს — ინფორმაცია, რომელიც საჯაროვდება, მას ელექტრონული და ბეჭდვითი მედია პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ ქეისს — ჩვენ ვცხოვრობთ პოსტ-ზნეობის საზოგადოებაში, მთელ მსოფლიოში ასეა. არავითარი ზნეობრივი მდგენელი აღარ არსებობს. ამის მიზეზი ის არის, რომ არსებობს კანონი, რომლის მიხედვით მედიის მიერ წარმოქმნილი პრობლემა მედიის მიერვე შიგნით უნდა მოგვარდეს. ანუ, ფაქტობრივად, მედია არის ხელშეუხებელი. რასაც ეს სამი არხი აკეთებს, არა აქვს მნიშვნელობა პოზიციაში იქნება, თუ ოპოზიციაში — ისინი პირდაპირ „ხვრეტენ“ საზოგადოებრივ ზნეობას. გაძლიერებული ცეცხლია გახსნილი. ყველას არეული აქვს ღირებულებათა სისტემა და ვართ ასეთ ქაოტურ მდგომარეობაში.

**— შაქარაშვილის საქმე არ არის ერთადერთი, რომელზეც საჯარო „გამოძიება“ მიმდინარეობს პირდაპირ ეთერში. ტრადიციად იქცა პირდაპირ ეთერში საქმის მასალებზე საუბარი და მათ შორის „გრიფით საიდუმლო“ მასალების განხილვა. თავისთავად ჩნდება კითხვა, ინფორმაციის ამ ხარისხით გამოტანაზე რატომ დუმს საგამოძიებო ორგანო? ხელისუფლება ამბობს, რომ ყოფილი ხელისუფლების კადრები ცდილობენ, ამ სახით შექმნან საბოტაჟი, რაც ასევე დანაშაულია...**

— ხელისუფლება მიჩვეულია ამას. კომფორტულად გრძნობს თავს ამ სიტუაციაში. განუწყვეტლივ დღის წესრიგს ქმნის „ნაციონალური მოძრაობა“ და მასზე დაქვემდებარებული მედია საშუალებები. ისინი შეთხზავენ რაღაცა ვერსიას, ტყუილია თუ მართალია, ამას მნიშვნელობა არა აქვს, დაზაფრავენ საზოგადოებას და შემდეგ გამოდის ხელისუფლება — ხან ამხელს ამათ და იმარჯვებს, ხან ვერ ამხელს და გაჩუმდება. მერე დგება შემდეგი ეტაპი, როცა ყველა ივიწყებს ამ „დიდ სკანდალს“.

**— როგორც დაივიწყეს სახელმწიფო გადატრიალების საქმე, მათ შორის გიორგი გაბუნიას „მკვლელობის შეკვეთის“ საქმე და ახლა მობილიზებული არიან შაქარაშვილის გარშემო...**

— დიახ. სამწუხაროდ, ცხოვრება ყოველთვის გვაწვდის ასეთ მძიმე მოვლენებს, იწყება ხმაურის დიდი ტალღა, რაც მთავარია, ვერავინ ვერაფერს გაიგებს, ყველა ერთმანეთს გალანძღავს და მერე ყველას დაავიწყდება. რამდენი წელიწადია, ამ მარაზმში ვცხოვრობთ. მაგალითად, ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის მოვლენა გავიხსენოთ, ვინმეს ახსოვს? ახსოვთ რა აურზაური ატყდა? გულზე დაიდეს წარწერა — „მე ვარ ვაჟა ექიმი“ და სად არის ახლა ეს ექიმი ვაჟა? ერთი ერეკლე კუხიანიძე შეეწირა ამ ამბავს, რომელმაც სიმართლე თქვა და სასწრაფოდ გარიცხეს, გააგდეს „თემიდან“ ალუდა ქეთელაურივით.

**— ხელისუფლებას სიმართლის თქმა უჭირს, როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? ამბობენ, რომ ოპოზიცია განულებულია, მაგრამ ამ განულებულ ოპოზიციასთან პაექრობაში შესვლა უჭირთ...**

— იმიტომ, რომ თავის დროზე, არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები. „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს სისტემური მიდგომები და იდეოლოგიურად უტევს ხელისუფლებას. დავაკვირდეთ, ბევრი მიდგომა, მათ შორის საგარეო პოლიტიკური იქნება, თუ საშინაო, უცვლელი დარჩა. „ნაციონალური მოძრაობა“ უტევს ნეოლიბერალური პოზიციებიდან და ხელისუფლების იდეოლოგიაც ასეთივეა. ხელისუფლებამ ახალი იდეოლოგია არ დაუპირისპირა „ნაციონალურ მოძრაობას“.

**— არ დაუპირისპირა, თუ ვერ დაუპირისპირა?**

— ვერ დაუპირისპირა იმიტომ, რომ სხვა მიდგომა არა აქვთ. შესაბამისად, აღმოჩნდა მოწყვლადი „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიური თავდასხმებისგან. „ნაციონალური მოძრაობა“ თავს ესხმის ხელისუფლებას, რადგანაც ის სუფთად იცავს ნეოლიბერალურ ნარატივს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაც ამ პოზიციებიდან იცავს თავს და ყოველთვის მოწყვლადია. პოლიტიკური შეფასება რომ მისცეს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობას, ამისთვის არ ჰყოფნის იდეოლოგიური საწყისები. აშკარაა, რომ თვითონ დგანან ამ პოზიციებზე და მეორე მხრივ, ეშინიათ იმ ლობისტების, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ და მათ შორის ბოკერიას ფლანგის უკან დგანან. ეს არის პრობლემა. აქედან გამომდინარეობს ის ხელშეუხებლობაც პატივცემული გვარამიასი და სხვების.

ახლა გაგვახსენდა კეზერაშვილი, ის კეზერაშვილი, რომელიც 2008 წელს თავდაცვის მინისტრი იყო და არ დადგა მისი პასუხისმგებლობის საკითხი. საერთოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ არავინ პასუხი არ აგო, თითქოს მე-18 საუკუნის მოვლენა ყოფილიყო. არადა, საქმე რასთან გვქონდა, ვნახეთ, ეს იყო პირდაპირი ღალატი — ტერიტორიების ჩაბარება, ადამიანური მსხვერპლით. 12 წლის მერე გაახსენდათ, რომ კეზერაშვილი იარაღით ვაჭრობდა, როცა თავიდანვე დასაპატიმრებელი იყვნენ ყველა იმ ავკაცობისთვის, რაც ჩაიდინეს.

**— კეზერაშვილი ახსენეთ, ნელ-ნელა შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში ტელეკომპანია „ფორმულას“ სახით. რამდენად რთული პრობლემაა ის, რომ ხელისუფლებამ თავის დროზე ვერ გაბედა ამ ადამიანების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და დაპატირმება? ვიცით, რომ საქართველოს მიერ ბრალდებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს პოლიტიკური თავშესაფარი აქვთ მიღებული. პატიმრობაში იყო ვანო მერაბიშვილი და რჩება ბაჩო ახალაია, რომელსაც ყოველწლიურად ბრალს უმძიმებენ. ეს რა შედეგამდე მიიყვანს ქვეყანას?**

— კარგ შედეგამდე არ მიიყვანს. თუ რეობს ძალიან საინტერესო პროცესები ჰეგემონ სახელმწიფოში — აშშ-ში, სადაც დიდი ალბათობით ტრამპი გაიმარჯვებს.

**— გიორგი შაქარაშვილის საქმემ აჩვენა, რომ საარჩევნო კამპანია იქნება აგრესიული?**

— მეტსაც გეტყვით, ისინი წაგებას არ აღიარებენ. ანუ, დიხატომია, რომელსაც ამდენი ხანი ნერგავდა ეს ნეოლიბერალური ფრთა, თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, როცა ის თავის თავს უარყოფს. ცალკე განხილვის თემაა არჩევნები — რა არის დღევანდელ დღეს არჩევნები და ეს დემოკრატიის იმიტაციები, რა მდგომარეობამდე მივიდა ეს დასავლური სისტემა, რომლის იმიტაციასაც ჩვენ აქ ვახდენთ — იქ ეპიცენტრშია, ჩვენთან ჩიხია.

ახალ პარადიგმაზე უნდა გადავიდეთ, თორემ უკვე ყოვლად აუტანელი გახდა ტყუილის ატმოსფეროში ცხოვრება. ამიტომ, ან სისტემა უნდა მივიდეს თვითგაჯანსაღებამდე და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შექმნის მცდელობამდე, ან მდგომარეობა იქნება ჩიხური და შედეგებიც — სავალალო!

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## ამორალური მედიის შემოსევა...

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას თქმით, გამოძიების დასრულებამდე ტრაგედიის მსხვერპლთა სხვადასხვა ვერსიის გავრცელებისთვის გამოყენება ამორალურია.

**„როდესაც გამოძიებისგან საზოგადოებას ინფორმაცია არ ჰყოფნის, მედია ამას იყენებს და ტრაგედიის მსხვერპლების, მხარის გამოყენება ხდება გარკვეული ვერსიების განსავითარებლად. ეს გამოძიების ნაწილია და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოძიების ნაწილი დასრულებული არ არის, მსგავსი სახის პოზიციონირება არის ამორალური“,** — თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

# ჭეშმარიტი ერუდიტი, მეცნიერული ძიების ჟინით განმსჭვალული მკვლევარი

## ვაჟა ოკუჯავა - 90

**აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას წელს 90 წელი შეუსრულდებოდა. ვაჟა ოკუჯავა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და საზოგადო მოღვაწე. ამგვარი აღიარება და წარმატება ეფუძნებოდა ვაჟა ოკუჯავას გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს, მის კეთილშობილ ბუნებას და ნიჭს.**

**პიროვნების შესახებ, ალბათ, ყველაზე კარგად ის მეტყველებს, თუ როგორ ახასიათებენ მას მისი თანამედროვეები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ვაჟა ოკუჯავას მოსაგონებლად აჯობებს, მოვიყვანოთ ამონარიდები მისი მასწავლებლების, კოლეგებისა და მოსწავლეების ნაწერებიდან.**

**აკადემიკოსი**
**ივანე ბერიტაშვილი:**

„ვ.მ. ოკუჯავას სამეცნიერო კვლევები ეხება ნევროლოგიის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაშიც მან დიდი წვლილი შეიტანა. მისმა ნაშრომებმა მოიპოვა სპეციალისტ-ნევროლოგთა ფართო საზოგადოების აღიარება და იმსახურებენ უმაღლეს შეფასებას“.



ვაჟა ოკუჯავა და ივანე ბერიტაშვილი

**აკადემიკოსი**
**პეტრე სარაჯიშვილი:**

„ვაჟა ოკუჯავამ შეძლო, შეექმნა განყოფილება, რომელიც თავისი შესაძლებლობებით არ ჩამოუვარდება საერთაშორისო კლასის საუკეთესო ლაბორატორიებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვ.ოკუჯავას შრომები ავტორს წარმოაჩენს როგორც ღრმა თეორეტიკოსსა და ნატიფი ექსპერიმენტის ბრწყინვალე ოსტატს“.

**ეპილეპტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი**
**ჰერბერტ ჯასპერი:**

ჯასპერი აფასებს ვაჟა ოკუჯავას მონოგრაფიას „ეპილეფსიური აქტივობის ბაზისური ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“:

„ეს არის შესანიშნავი ნაშრომი და მინდა მოგილოცოთ, რომ თქვენ შეძელით ზოგიერთი უკვე არსებული შრომის კრიტიკული შეფასება და შემოიტანეთ ბევრი, ჩემი აზრით უაღრესად მნიშვნელოვანი, თქვენი საკუთარი დაკვირვება. მე ვათავსებ ამ წიგნს ჩვენს ბიბლიოთეკაში, რომ ჩვენს თანამშრომლებსა და სტუდენტებს ჰქონდეთ მისი გამოყენებისა და ციტირების საშუალება.“

**აკადემიკოსი**
**პეტრე ანოხინი:**

„ვ.ოკუჯავა არის უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერი, რომლის შრომები თანამედროვე ნევროლოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებით ფასეულია.“

**აკადემიკოსი**
**პლატონ კოსტიუკი:**

ვ. ოკუჯავას მონოგრაფიაზე „ქერქული შეკავების მექანიზმები“: „ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული მონოგრაფია მეტად მნიშვნელოვანია მკვლევართა ფართო წრისათვის, რომელნიც შეისწავლიან როგორც თავის ტვინის კვლევის ფუნდამენტურ პრობლემებს, ისე მისი ფუნქციის დარღვევის კლინიკურ ასპექტებს. ამავე დროს მონოგრაფია განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს სამედიცინო და ბიოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, რადგან მასში წარმოდგენილმა თანამედროვე მონაცემების მიმოხილვამ შესაძლოა, დიდი დახმარება აღმოგვიჩინოს მაღალკვალიფიციური ნეიროფიზიოლოგების და ნევროლოგების მომზადებაში.“

**აკადემიკოსი**
**თენგიზ ონიანი:**

„სრული რწმენით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვ.ოკუჯავას მონოგრაფია „ქერქული შეკავების მექანიზმები“ თანამედროვე ნეირომეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია და ეროვნული ბიოსამედიცინო მეცნიერების მონაპოვარი.“

**აკადემიკოსი**
**ბეჟან ჟანკვეტაძე:**

„ბატონ ვაჟას ხიბლავდა და თაყვანს სცემდა ჭეშმარიტ ნიჭს, იმიტომ რომ თვითონ უნიჭიერესი პიროვნება იყო. მე ახლა ვაცნობიერებ, რომ მისი გადმოსახედიდან, ჭეშმარიტად ნიჭიერი, კეთილშობილი და მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანების გამოცნობა უფრო ადვილიც იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ალბათ არც ერთი ქართველი სწავლულის იმდენი მოწაფე არ ამბობს დღეს მსოფლიო მეცნიერებაში თავის გადამწყვეტ სიტყვას ჩვენი ერისა და ქვეყნის სასახელოდ, როგორც ბატონი ვაჟას მიერ “დაფრთიანებული“ შვილობილები“.

ნიკო კეცხოველი და ვაჟა ოკუჯავა

**„პირველი სიდიდის ვარსკვლავი“** — ასე ახასიათებს ვაჟა ოკუჯავას **პროფესორი ნოდარ ტაბიძე:**

„იყო თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის რექტორი, უდიდესი პატივია და უზარმაზარი ტვირთიც. შენ გევალება ივანე ჯავახიშვილის ხაზის გაგრძელება. ყველაფერი უნდა შესწირო ალმა მატერს — ერის გონსა და სინდისს. არ კმარა დიდი მეცნიერი ბრძანდებოდე. აუცილებელია, კარგი ორგანიზატორი და პატიოსანი მოქალაქე იყო. მაშინ გამოგყვებიან. უნივერსიტეტს ბევრი ღირსეული რექტორი ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ვაჟა ოკუჯავა“.

**მრავალმხრივობა და დიდი დიაპაზონი იყო ვაჟა ოკუჯავას არა მარტო პროფესიული, არამედ პიროვნული თვისებაც. ის იყო ჭეშმარიტი ერუდიტი, მეცნიერული ძიების ჟინით განმსჭვალული მკვლევარი, რომელიც შთააგონებდა და მუდამ გვერდში ედგა თავის კოლეგებს. მას ჰქონდა სიახლის საოცარი შეგრძნება და უაღრესად იმედიანი განწყობა ახალგაზრდა თაობის მიმართ. სწორედ ამიტომ, ბ-ნი ვაჟა იყო მაგალითი ახალგაზრდებისთვის. მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა თაობების ფორმირებაზე საქართველოს აკადემიურ თუ საუნივერსიტეტო სივრცეში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

აკადემიკოსები — ვაჟა ოკუჯავა, სერგეი კაპიცა, ნინო ჯავახიშვილი

## IV

**1. აპრილი, 20:21-ზე**

### დარჩით სახლში და ყველაფერი კარგად იქნება!

ფეისბუქის მესინჯერში ჩვეულებრივ ათასნაირი მომაბეზრებელი რამ მომდის ხოლმე. დღესასწაულებზე ყველა მეგობარს რომ განურჩევლად უგზავნიან, ის გიფები თუ ფოტოები ყველაზე მეტად მაღიზიანებს. და, რა თქმა უნდა, არც არასოდეს ვეხმაურები. დღესაც რაღაც უცნაური ფოტო ჩამიგდეს. თავიდან ამგვარი კოლექტიური მოსალოცი მეგონა, მაგრამ ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. მერე, გამომგზავნის სახელი რომ წავიკითხე, უფრო კარგად დავუკვირდი და... ჩემი ბინის შემოსასვლელი ყოფილა, გარედან გადაღებული! კარებთან მომცრო რამ ნივთი დაედოთ და ამ ფორმით გამაგებინეს. მივხვდი, სოციალური დისტანცირების ყველა წესის დაცვით, სააღდგომო საჩუქარი დაეტოვებინა მაკოცეს — მაკო ცირეკიძეს, ჩემს ძველისძველ სტუდენტს. უყვარს მაკოს ასეთი სიურპრიზების კეთება. მისგან ბევრნაირი საჩუქარი მიმიღია, მათ შორის სააღდგომოც, მაგრამ ასეთი — პირველად.

მაკო ცირეკიძემ, რომელიც ახლა კომპანია „ქარგილის“ გენერალური დირექტორია, მისი კომპანიის მიერ შეკერილი სამედიცინო პირბადეები მომიტანა! არა, დოლბანდისა არა, სხვანაირები, ლურჯები და შავები, აი, გუშინ დილით ეთუნა ინწკირველს რომ ეკეთა ტვ პირველზე, ისეთები. თან იმდენი, წესით, საგანგებო მდგომარეობის ბოლომდე რომ უნდა გვეყოს მე და ჩემს ოჯახს. საჩუქარს პატარა ბარათიც დაურთო: „მეტი სიმშვიდისთვის და უსაფრთხოებისთვის. აღდგომის სიხარულით, სიყვარულით და პატივისცემით.

მე უკვე კარგა ხანია, სახლში ვარ. მას მერე, რაც ჩემს კარებთან საჩუქარი დატოვა, მაკოც ალბათ შინ წავიდა და ორშაბათამდე ისიც სახლში იქნება, მერე კი — ვეღარ. მაკო ცირეკიძე „ქარგილის“ გენერალური დირექტორია და ეს კომპანია პირბადეებს კვლავაც კერავს და კერავს და კერავს. ამის შესახებ თავად მაკოც ყვებოდა ამას წინათ ფეისბუქზე.

ვისაც ამგვარი საშური საქმე არ გაქვთ, დარჩით სახლში!

**დასასრული. დასაწყისი იხ. №90-91**




და ყველაფერი კარგად იქნება.

**90 ლაიქი, 49 კომენტარი, 1 გაზიარება**

**Nona Lomidze:** ფანტაზია და გონება უჭრის!

**Izuka Darchia:** მაკო, რა თქმა უნდა, ჩვეული არაჩვეულებრივი სიურპრიზებით, ფორმაშია!

**Manana Chanturishvili:** Kai ra! Sul guls unda michukebde?! Ra ikneba shennairi xalxi meti ikos, ar sheidzleba? Ar sheidzleba rom meti cerdes eseti sikvarulit da saocari kulturit! Shoridan gexvevi da gkocni.

**Teo Natsvlishvili:** ვااა!!! დიდი მადლობა მაკოს!!!



**Zviad Shatiroshvili:** თითო მაკოცე — ყველა ოჯახს! :)

**Tamta Koplatadze:** ყოჩაღ მაკოს!

**Nana Gogichashvili:** მაკო-მაკოცე! საოცარი ადამიანი საოცარი პიროვნული თვისებებით!

**Mako Tsirekidze:** არაფერია ამ სიხარულზე დიდიც და ამ პროცესზე სასიამოვნოც! ქრისტე აღსდგა!

**Tako Baliashvili:** მაკუნა!

**Lia Metreveli:** მაკო-ცე ჩვენთვის, ლექტორ-მეგობრებისათვის თვითონ არის დიდი საჩუქარი. (ხომ არ გავამხილოთ სახელის ნათლიაც?)

**Paata Natsvlishvili Lia Metreveli**-ს: გამხელა-არგამხელა მაკოს დაეკითხე, ფლზ!

**Batu Danelia:** ეს ყველაფერი კარგი. მაკო ნამდვილად კარგი გოგოა. აი, სხვებმა რა ქნან, ვისაც შენნაირი კარგი ყოფილი სტუდენტები არ ჰყავთ!.. ვინც აფთიაქებში ვერ მიუსწრო პირბადეებს. მეც რამდენჯერ ვიყავი და ყოველთვის მესმის ერთი და იგივე: „არ გვაქვს“, „გათავდა!“ თორემ ძვირი ნამდვილად არ ღირს...

**Mako Tsirekidze Paata Natsvlishvili**-ს, **Batu Danelia**-ს: საერთოდ არ ვფიქრობდი, ჩემს ამ სავალდებულო და აუცილებელ საქციელს თუ ამხელა და ასეთი რეზონანსი მოყვებოდა, რისიც ძალიან მრცხვენია და მერიდება კიდეც. მით უმეტეს, ისეთი ძვირფასი ხალხისგან, ვინც აქ არის თავმოყრილი. რადგან ასეა, მეც უნდა დავწერო იმაზე მეტი, ვიდრე „არაფერია ამ სიხარულზე დიდიც და ამ პროცესზე სასიამოვნოც-მეთქი“ რომ ვწერდი. თუმცა, ეს სიტყვებიც უკან არ მიმაქვს... რაც შეეხება პირბადის მარაგს — არც თქვენთვის და არც არავისთვის ის არ გათავდება. მთავარია, მალე გათავდეს მთელი ეს ამბავი, რამაც პირბადე ასე აქტუალური გახადა. ჩემთვის კი მხოლოდ საპატიო და სასიამოვნო იქნება ის ფაქტი, რომ თქვენი და ყველას წილი პირბადე თქვენამდე და ყველამდე მოვიდეს <3 <3 <3 <3

**Batu Danelia Mako Tsirekidze**-ს: გაიხარე, ძვირფასო მაკო!

## V

**8 მაისი, 12:53-ზე**

დღეს დილით ჩემი კეთილი მეგობარი ჯემალ ინჯია მირეკავს გორიდან. ერთმანეთი მიმოვიკითხეთ, მიმოვამხნევეთ და მერე მეუბნება, დღევანდელი „ლიტერატურული გაზეთი“ თუ ნახეო, ჩემი ლექსები დაიბეჭდაო. ჯერ არ მინახავს-მეთქი. მაშინ მოიმარჯვე კალამ-ქაღალდი და ჩაიწერე, ლექსი მოგიძღვენიო. ჩავიწერე. მერე ვეუბნები, მოდი, უფლება მომეცი, გავაფეისბუქო ეს ლექსი, ვინძლო ჩვენი საყვარელი გაზეთის დღევანდელი ნომრით სხვებიც დავაინტერესოთ-მეთქი. შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ მაისში „ლიტერატურული გაზეთი“ ყოველ პარასკევს გამოვა. ჰოდა, აი, ეს ლექსიც:

**გაზეთის ახალი ნომერი**

**პაატა ნაცვლიშვილს**

*ორასრალაცა სტრიქონი*
*დღეს დამიბეჭდეს, პაატა,*
*იქ ერთ ლექსს მაინც იპოვი*
*ისეთს, გემოს რომ ჩაატან.*

**ჯემალ ინჯია**

ერთს კი არა, დარწმუნებული ვარ, ბევრს კარგ ლექსს ვიპოვი. ჰოდა, ავიფარე ახლა პირბადე და გავედი გაზეთის საყიდლად. თქვენ კი არ გახვალთ? პირბადე არ დაგავიწყდეთ, ყოველი შემთხვევისთვის.

**155 ლაიქი, 20 კომენტარი, 1 გაზიარება**

**Lia Kharebava:** ბათუმში გაზეთის კიოსკს ვერ ნახავ ღიას. ადრე სუპერმარკეტსაც ჰქონდა, ახლა კი ვართ გამოყრუებულები.

**Paata Natsvlishvili Lia Kharebava**-ს: ერთი კვირის შემდეგ დაიდება ელექტრონული ვერსია. აი, ლინკი. წინა ნომრებიც შეგიძლია ნახო, სულ პირველიდან მოყოლებული. ძალიან ისიამოვნებ.

**Lia Kharebava Paata Natsvlishvili**-ს: მადლობა, პაატა

**Paata Natsvlishvili:** გავედი. ვიყიდე. შემოვედი. წავიკითხე. როგორც ყოველთვის, ძალიან საინტერესო ნომერია! ჯემალ ინჯიას ლექსებს რაც შეეხება, ერთს კი არა, ბევრს ჩავატანე გემო. იმ ორასრალაცა სტრიქონში იმდენია დასამახსოვრებელი, რომ რა ვიცი! „ყველაზე კარგი ლექსები, ეს ბევრჯერ დამოწმებულა — / დამაწერინა კალამმა ნაღველში ამოწებულმა“. როგორც ჩანს, სწორედ ნაღველში ამოწებული კალმით არის დაწერილი დღევანდელი ლექსების უმეტესობა. ერთჯერად რითმებს ხომ თვლა არა აქვთ: ეგოიზმი — ექო ისმის. გასაქცევი — მთას ავცქერით. ღრმა ბურანში ვარ — აბულაშვილმა. ვანდობ გვირილებს — რად მოგვივლინეს. აკლდა მისარქმელს — აკლდამისაკენ. გამოეშიგნა — კამოენში ქნარს. რომ ებრძვი — ლომებრ ძილს. აღარ მახარებს — აყალმაყალებს. აისედორა — და ისე დროა. მომიზეზენი — რომ ის ესენინს. ბავშვებს არ აკლდათ — ძვალშესალაგთან. მოკლედ, კარგი დილა იყო — მეგობარი პოეტის მშვენიერი ლექსებითა და მშვენიერი გაზეთის ახალი ნომრით სავსე.

**ნინი ჭოლაძე Paata Natsvlishvili**-ს: სად ყიდულობთ, ბნო პაატა, მაგ საინტერესო რაღაცებს?! აქეთ, ვაკეში, ჯიხურები დაკეტილია და...

**Paata Natsvlishvili ნინი ჭოლაძეს:** მე შარტავაზე ვიყიდე, ნინი, ჩემს სახლთან. როგორც ვიცი, მეტროს სადგურებთან საგაზეთო ჯიხურები მუშაობენ.

**ლია მიჩიტაშვილი:** ბატონ ჯემალს აქვს ულამაზესი და უსხარტესი პოეზია! თავად არის ბუნებით ლაღი და კეთილშობილი, რაც უდავოდ ეტყობა ხოლმე მის ლექსებს... მე ვთვლი, რომ პოეზია არის პიროვნული შტრიხის ანარეკლი და ბევრი პოეტის შემოქმედებაში შემინიშნავს!...

**ქეთევან სადაგიშვილი:** კარგია, ყოველ პარასკევს შევიძენ!

**Vasil Beselia:** ჯემალ ინჯია მართლა დიდებული პოეტი და პიროვნებაა, ტრადიციული ლექსის დიდოსტატია! კეთილი ხმა მახსოვს მისი!

**Diana Chankotadze:** ნეტავ შემეძლოს ყიდვა! ძალიან მომეწონა ბატონი ჯემალის ლექსი თქვენადმი მიძღვნილი!

**Paata Natsvlishvili Diana Chankotadze**-ს: ერთი კვირის შემდეგ დაიდება ელექტრონული ვერსია. აი, ლინკი. წინა ნომრებიც შეგიძლია ნახო, სულ პირველიდან მოყოლებული. ძალიან ისიამოვნებ.

**Diana Chankotadze:** უღრმესი მადლობა, ბატონო პაატა.

**პაატა ნაცვლიშვილი**

# დარჩისახლში

## რამდენიმე ფეისბუქ-პოსტი რჩეული კომენტარებით სმაილიკების გარეშე

# „სამშობლო ან სიკვდილი!“

## ასე იტყოდა ერნესტო ჩე გევარა

ქართულად გადმოაქენა
გურამ გოგიაშვილმა

## ნაწყვეტები წერილებიდან

### 1956 წლის 25 ივლისი (ციხიდან)

დედა, მე არც ქრისტე ვარ და არც ფილანტროპი, ჩემო საყვარელო ბერდიაცო, მე ქრისტეს საწინააღმდეგო ხასიათისა ვარ. იმ ამბებისთვის ვიბრძვი, რაც თავად მწამს, ვიბრძვი სუყოველი იარაღით, თუ რამ ხელთ მომხვდება და ვეცდები, სხვა მოვკლა, რათა იმან ვერ შეძლოს ჩემი მილურსმნა ვერც ჯვარზე და ვერც კიდევ სხვა რასმე ადგილზე.

რაც ნამდვილად მაშინებს, ის არის, რომ ეს ყოველივე არ გესმის, მაშინებს შენი რჩევები ზომიერებისა და ჯანსაღი ეგოიზმის თაობაზე, ანუ იმ აუტანელ თვისებათა გამო, რასაც შეიძლება, რომ ფლობდეს ინდივიდუუმი. მე არა მარტო ზომიერი არა ვარ, არამედ შევეცდები, რომ არცროდის ისეთი არ გავხდე და თუ აღმოვაჩენ, რომ ჩემში მოგიზგიზე წმინდა ცეცხლი მკრთალმა, ნაცოდვილარმა შუქმა შეცვალა, ეგრევე ამოვარწყევ... რახან ზომიერ ეგოიზმზე მწერ, უნდა გითხრა, რომ ბევრი რამ მოვახელსაქმე, ვიღონე, რათა ის ჩემი შიგანიდან აღმომეხვრა...

ამ ციხის დღეებსა და წინა წვრთნის დღეებში ჩემს თანამოსაქმე ამხანაგებთან გაიგივებას მივაღწიე. კატეგორია „**მე**“ ამოწურულია, ადგილი დაუთმო ნაცვალსახელ „**ჩვენ**“-ს, რაც მშვენიერია: „**მე**“ აღარ მიპასუხებს.

...შენი მხრიდან შეცდომაა იმის რწმენა, თითქოს დიდი გამოგონებანი და ხელოვნების შედევრები „**ზომიერებამ**“ ანდა „**ზომიერმა ეგოიზმმა**“ წარმოშვა. სუყოველი დიდი საქმის აღსრულებისთვის აუცილებელია ვნება, ხოლო რევოლუციისთვის ვნება და გამბედულება კიდეც მეტი დოზით არის აუცილებელი, რასაც სულაც არ ვისაკლისებთ...

...ვფიქრობ, დედის ტკივილი, რომელი დედაც ხანში შედის და თავისი შვილის ცოცხლად დაბრუნებას ელოდება, პატივისცემის ღირსია, და ჩემი მოვალეობაა – ამ ტკივილისთვის ანგარიშის გაწევა, და ძალიან მინდა, რომ დაგიყუჩო, რაც რამ გტკივა და არა მხოლოდ ნუგეშინისცემისთვის, არამედ იმიტომაც, რომ გამოვისყიდო, თუ რამ მიწყენინებია, რასაც აგრერიგად იშვიათად ვნანობ...

**შენი შვილი ელ ჩე.**

### 1956 წლის შემოდგომა

...ჩემს საკუთარ ცხოვრებაზე ცოტა რისამე მოყოლა თუ შემიძლია, უმთავრესად ფიზიკურ მომზადებასა და კითხვაში გამყავს დრო. მეჩვენება, რომ სუყოველი წიგნის წაკითხვის შემდგომ ნამდვილად საბრძოლო მანქანად ვიქცევი ხოლმე (ეკონომიკის საკითხებში), თუმცა მავიწყდება მაჯის გასინჯვა და გულის ძგერის მიყურადება. ჩემი გზა ნელა, ოღონდ სავსებით სწორად სცილდება კლინიკური მედიცინისკენ მოწოდებას. რაც მოგწერე, ფიზიოლოგიის განხრით დოქტურანტურაში ვემზადები-მეთქი, შუმი ტყუილი იყო, ოღონდ არა ასპროცენტიანი.

ტყუილი იყო იმდენად, რამდენადაც არც არასოდეს არ მიფიქრია მსგავს რამეზე, თუმცა ჩემი დიპლომი, ვიცი, გაჭრიდა... ასეა თუ ისე, ეს ყოველივე უკვე წარსულია. წმინდა კარლოსმა (ანუ კარლ მარქსმა – **რედ.**) ჩემი სახით ბეჯითი მოწაფე შეიძინა...

...აღრე, მართალი გითხრათ, მედიცინას დიდ დროს ვუთმობდი, თავისუფალ დროს კი ვუძღვნიდი წმინდა კარლოსს. ჩემი ცხოვრების სრულად ახალი საფეხური მიკარნახებს ამ თანაფარდობის შეცვლას. დღეს ჩემთვის პირველ ადგილზე წმინდა კარლოსია, და ასე იქნება მუდამ, სანამ ცხოვრების ზედაპირზე ვიარსებებ.

### 1959 წლის 2 ივლისი

ჩემო ძვირფასო ბერდიავ, ჩემი ძველი ოცნება (სუყოველი ქვეყანა შემომევლო) ახლა მიხდება, თუმცა არცრა ბედნიერება არ მოაქვს ჩემთვის. მთელი ეს ლაპარაკი პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე არ თავდება. ერთადერთი, რისი თქმაც თამამად შემიძლია, ის არის, რომ სმოკინგს არ ვიცვამ. აქ თავხელმარტო ვარ, უალეიდოდ, რომლის წამოყვანაც ვერ შევძელი ჩემი რთული კომპლექსების გამო.

ეგვიპტე მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება გახდა: გამოსათხოვარ ვახშამზე სუყოველი ქვეყნის საელჩო იყო წარმოდგენილი და პირადად დავრწმუნდი, რა რთული რამ არის ეს დიპლომატია, როცა პაპის ნუნციუსი, ნეტარღიმილიანი, ხელს ართმევს რუსეთის ატაშეს.

...ინდოეთის პროტოკოლის ახალ გართულებათა გამო პანიკაა ატეხილი, პატარა ბავშვივით იქცევიან. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოიგონა (რთულ ვითარებათათვის) პასუხი ცხოვრების სუყოველი შემთხვევისთვის („აი, **ეს მესმის!**“), რაც შეუფერხებლად მოქმედებს.

ჩემში გაჩნდა ვიწრო პირადულის მიმართ დაპირისპირების გრძნობა. მარტოკინა განვაგრძობ ჩემი გზის ძებნას, ვისიმე დაუხმარებლად, თუმცა არც ისტორიის წინაშე ჩემი მოვალეობის გრძნობა მანებებს თავს. არა მაქვს სახლი, ჭერი, არა მყვანან არც ცოლი, არც მშობლები და არც ძმები. ჩემი მეგობრები მანამ რჩებიან ჩემს მეგობრებად, სანამ პოლიტიკურად ჩემთან ერთად აზროვნებენ და მაინც კმაყოფილი ვარ, ვგრძნობ არა მარტო მძლავრ შინაგან ძალას, არამედ სხვა ადამიანთა აღგზნების უნარსაც.

თავადვე არ ვიცი, რატომ გწერ ყოველსავე ამას, იქნებ იმიტომ, რომ მოწყენილი ვარ ალეიდას გამო.

წერილისავით მიიღე ეს უსტარი, დაწერილი ინდოეთის ცაში ატეხილი ქარიშხლით აღმუვლებულ ღამეს, შორს ჩემი სამშობლოდან და იმ ადამიანთაგან, ვინც აგრერიგად მიყვარს.

**გეხვევით.**
**ერნესტო**

### 1959 წლის დეკემბერი

ჩემო ძვირფასო ბებრეგო,

ხომ იცით, რარიგ მეძნელება წერილების წერა. ვისვენებ დილის შვიდის ნახევარზე, სამუშაო დღეს კი არ ვიწყებ, არამედ ვასრულებ.

დღეს კუბა ისეთ ჟამს განიცდის, რაც გადამწყვეტი გახდება სრულიად ამერიკისთვის. ოდესღაც პისაროს ერთ-ერთი ჯარისკაცობა მინდოდა, მაგრამ ახლა ამის საჭიროება აღარ არის. დღეს ეს ყოველივე აქ არის: იდეალები, რისთვისაც ვიბრძვით და იმის გამო პასუხისმგებლობა, რათა ვაჩვენოთ იდეალისგან განუყოფელი მაგალითი.

აქ ადამიანებად კი არა, თავს მუშა მანქანებად ვგრძნობთ, დროს ვებრძვით ძალზე რთულ ვითარებაში.

წარმოების დეპარტამენტი ჩემი პირადი ქმნილება იყო: მთელი ჩემი ნახევარი დრო მოვანდომე, რათა სრულად ჩამედო ჩემი უნარი ფინანსურ საქმეში. ამას გარდა, ვარ ამბოხებულთა ჯარის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი და ორიენტეში განლაგებული ასეულის მეთაური.

ჩვენ აქ უმაღლესი სინჯის ისტორიას ვქმნით. კანთიელად გვაქვს წარმოდგენილი მომავალი და ბედნიერების შეგრძნებით ვაშენებთ და აღარ გვაქვს არცრა პირადული.

მიიღეთ მხურვალე სიყვარული ამ მანქანისგან, რომელიც 160 მილიონ ლათინოამერიკელის გაანგარიშებულ ტრფიალს ანაწილებს, ოღონდ ხანისად თავს იმ უძღებ შვილად გრძნობს, რომელსაც ზოგჯერ უბრუნდება მეხსიერება.

**ჩე**

### ჩე გევარას უკანასკნელი წერილი მშობლების წინაშე

ჩემო ძვირფასო ბებრეგო!

ჩემი ქუსლებით ისევ ვგრძნობ როსინანტის ნეკნებს და ისევ ბექთარში ჩამჯდარი მივუყვები გზას. თითქმის ათი წლის წინათ მოგწერეთ სხვა გამოსათხოვარი წერილი.

როგორც მახსოვს, მაშინ ვნანობდი, ვერც კარგი ჯარისკაცი და ვერც დახელოვნებული ექიმი ვერა ვარ-მეთქი, ექიმობა მაინცდამაინც არ მაგულისყურებს, ჯარისკაცი კი არცთუ ცუდი დავდექი.

კაცმა რომ თქვას, არც არაფერი არ შეცვლილა იმ დროიდან, ერთი ეგ არის, რომ უფრო შეგნებული გავხდი, ხოლო ჩემმა მარქსიზმმა ფესვ-ბორჯი გაიდგა ჩემში და განიწმინდა. ვფიქრობ, შეიარაღებული ბრძოლა ერთადერთი გამოსავალია ხალხისთვის, თავისი გათავისუფლებისთვის რომ იბრძვის, და მე თანამიმდევრული ვარ ჩემს შეხედულებებში. ბევრს შეუძლია, თავგადასავალთა მძებნელად მომნათლოს, რაც მართალი იქნება, მაგრამ განსაკუთრებულ თავგადასავალთა მძებნელი ვარ, იმ კატეგორიის მძებნელი, თავის ტყავს რომ არ უფრთხილდება თავისივე სიმართლის დასამტკიცებლად.

მე ძალიან მიყვარხართ, ოღონდ ვერასოდეს ვერ გამოვხატავდი ამ სიყვარულს ხმამაღლა. სუყოველ ჩემს მოქმედებაში სწორხაზოვანი ვარ და ვფიქრობ, რომ ხანისხან ვერ მიგებდნენ. ამას გარდა, ადვილი შესაძლებელი არ იყო ჩემი გაგება, მაგრამ ამჯერად დამიჯერეთ, გამბედაობა, რასაც მსახიობის გატაცებით ვსრულყოფდი, აიძულებენ ჩემს დასუსტებულ ფეხებს და დაღლილ ფილტვებს მოქმედებას. აუცილებლად მივაღწევ ჩემსას.

მოიგონეთ ხანისად XX საუკუნის მოკრძალებული კონდოტიერი.

აკოცეთ სელიას, რობერტოს, ხუან-მასტინას და პოტოტინას, ბეატრისს. სუყველას.

მაგრად გიხუტებთ გულში, თქვენი უძღები
და გამოუსწორებელი შვილი **ერნესტო**

## სხვადასხვა (1959-1966 წ.წ.)

### 1959 წლის 14 იანვარი

სენიორე სერხიო კორდოვას

სამხედრო დეპარტამენტი „ლა-კაბანია“ პატივცემულო სენიორა

3 იანვარს თქვენს წერილზე, რომელშიც ლეონელე როდრიგესე-კორდოვას ვაჟიშვილზე მეკითხებით, გაცნობებთ შემდეგს.

დიდი გულისტკივილით უნდა შეგატყობინოთ, ლეონელი ნამდვილი გმირის სიკვდილით დაიღუპა სანტო-დომინგოში ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მტრის ჭურვის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. დაღუპული ლეონელის ცხედარი, როგორც ეკუთვნის მეამბოხეთა ჯარის კაპიტანს, დაიკრძალა დიდი პატივით „ხულიან-პერესის“ ახლოისად. ჩვენი მეთაურობა იზიარებს თქვენს მწუხარებას ჩვენი ქველი თანამებრძოლის სამუდამო დაკარგვისა გამო.

**პატივისცემით, თავისუფლება ან სიკვდილი!**
**ერნესტო ჩე გევარა,**

სამხედრო დეპარტამენტ „ლა-კაბანიას“ უფროსი

ჰავანა, 1959 წლის 5 თებერვალი

ხოსე ე. მარტი ლეივა ოლგინს
პატივცემულო მეგობარო!

დიდი სიხარულით გავეცანი თქვენს წერილს, სადაც მწერთ, რომ ჩვენთვის ძვირფასი ქალაქის სანტო-დომინგოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება გსურთ.

ამ თქვენი გადაწყვეტილების ჭეშმარიტ, კეთილშობილებასა და დიდსულოვნებას რომ ვაფასებ, მოგიწოდებთ, შეინარჩუნოთ თქვენი ენთუზიაზმის მგზნებარება მომავლისთვის, როცა დადგება თქვენ მიერ შემოთავაზებული წინადადების განხორციელების საშუალება. მანამ კი გთავაზობთ, რომ გამოიყენოთ თქვენი სასკოლო წლები და გახდეთ „კუბისთვის სარგებლის მომტანი ადამიანი“, რაც აგრერიგად ეჭირვება დღეს ამ ქვეყანას. დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად გახდებით ერთ-ერთი ასეთი ადამიანი. შემპირდით, რომ ფერწერას მიჰყოფთ ხელს.

**გულითადი მოკითხვით, მეგობარი**
**ერნესტო ჩე გევარა**

**სამხედრო დეპარტამენტ „ლა-კაბანიას“ უფროსი**

### ჰავანა, 1959 წლის 5 თებერვალი ხუან ეონგუ კინტანას

პატივცემულო მეგობარო,

მთელი გულით გითვლი მადლობას თქვენი წინადადებისთვის. ყოველთვის საქებარია ახალგაზრდობის მზადყოფნა კეთილშობილური მიზნების გულისთვის თავის გასაწირად, როგორც ეს სანტო-დომინგოს გათავისუფლებისას იყო. თუმცა, ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენი ბრძოლის ადგილი იქ, კუბაშია, სადაც დიდ სიძნელეთა გადალახვა მოგვიწევს. მიუძღვენით თქვენი რუდუნება ჩვენს რევოლუციას, და ეგ გახდება ჩვენი სრული გამარჯვების მაგალითი, მაშასადამე, საუკეთესო ხელშეწყობა იქნება დომენიკელი ხალხისთვის.

**დიდი მოკითხვა ერნესტო (ჩე) გევარასგან**
**„ლა-კაბანიას“ სამხედრო კომენდანტი**

### ჰავანა, 1960 წლის 5 აპრილი

პატივცემულო მეგობარო,

სასკოლო „კორესპონდენციის დღე“ ბავშვთგან დიდი ოდენობის წერილებით აღინიშნა. ამ ბავშვებს, თქვენი არ იყოს, ჩვენს რევოლუციასთან ერთიანობის გამოხატვა სურთ. მე ძალიან ამაყი ვარ ჩვენი ყმაწვილების პატრიოტული სულისკვეთებით და გულწრფელად მჯერა, რომ მომავალ კუბას სანიმუშო მოქალაქეები ეყოლებიან.

ერთადერთი, რის აღნიშვნასაც – ვისურვებდი, ის არის, რომ საუკეთესო დახმარება, რისი გაწევაც დღეს ჩვენი მთავრობისთვის შეგიძლია, შენი კარგი სწავლაა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83-84, 87-90

# ფართოდ გაახილეთ თვალები, აფხაზებო!

## ხარისხიან განათლებაზე წვდომის შეზღუდვა აფხაზი საზოგადოების მიზნებს ეწინააღმდეგება!

**ბოლო 30 წლის განმავლობაში აფხაზეთში შექმნილი ვითარების შედეგად ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების მიღება სულ უფრო რთულდება. სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში არსებული განათლების მოძველებული – საბჭოთა სისტემა, აგრეთვე კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს სხვა თანატოლებთან არათანაბარ პირობებში აყენებთ. მაშინ, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შვილების განათლებასა და მათთვის უკეთესი მომავლის პერსპექტივების შექმნას, ძალიან სამწუხარო და გაუგებარია მიზანმიმართულად დაწესებული შეზღუდვები, რომელიც ახალგაზრდებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების მიღებაში ხელს უშლით.**

საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების წარმატება საყოველთაოდ ცნობილია. ამასთანავე, ქართული უმაღლესი სასწავლებლები ასობით საერთაშორისო უნივერსიტეტში მოხვედრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, ისინი საშუალებას აძლევენ სტუდენტებს, მიიღონ სტიპენდია და უფასოდ ისარგებლონ ბაკალავრიატის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით. ამიტომაც უამრავი უცხოელი სტუდენტი ამჯობინებს, განათლება სწორედ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიიღოს, რომლებსაც ორმხრივი ურთიერთობები აქვთ ევროპის, აშშ-ისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან.

აფხაზეთის რეგიონში ბევრს, მათ შორის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც განათლება სწორედ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ მიღებული, თუმცა წმინდა პოლიტიკური მიზეზით იძულებულები არიან, ბიოგრაფიაში ეს ფაქტი გამოტოვონ. 21-ე საუკუნეში არ უნდა ხდებოდეს განათლების საკითხის იმგვარი პოლიტიზირება, რომ ადამიანებს მიღებული კვალიფიციური განათლების დამალვა უწევდეთ.

**ენგურის ხიდის დაკეტვისა და განხორციელებული ზეწოლის შედეგად აბიტურიენტებს, სამწუხაროდ, არ ეძლევათ საშუალება, თავისუფლად გადმოვიდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებსა თუ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც განათლებაზე წვდომის გასამარტივებლად სპეციალურად მათთვის შეიქმნა. ენგურის ხიდი 2019 წლის 28 ივნისს – სწორედ იმ დროს დაიკეტა, როდესაც მეორე მხარეს ეროვნული გამოცდები იწყებოდა. გალის რაიონის იმჟამინდელი ე.წ. ადმინისტრაცია სათითაოდ დასდევდა სტუდენტებს, რომელთა ნაწილი ჩუმად გადმოვიდა ქრთამის გადახდის ან საკუთარი ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის რისკის ფასად. მათთვის, ვინც გადმოსვლა ვერ მოახერხა, საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვის თაობაზე.**

კრიტიკული ზემოქმედების შედეგად ზოგიერთი სტუდენტი იძულებული გახდა, ადგილობრივ სასწავლებელში ჩაებარებინა. თუმცა მოგვიანებით მათ შეძლეს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის პროგრამა გამოეყენებინათ, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, უგამოცდოდ გააგრძელონ სწავლა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სწავლის სრული დაფინანსება მიიღონ.

დაკეტილ ენგურს წელს რუსეთის ФСБ-ს ოფიციალური, ინდივიდუალური გაფრთხილებაც დაემატა იმ ახალგაზრდებისთვის, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება, რომ „საზღვრის უკანონო კვეთის“ შემთხვევაში მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ. ეს, ფაქტობრივად, პირდაპირი მუქარა იყო და კიდევ უფრო მძიმე ფორმა ჰქონდა ცხინვალის რეგიონში, სადაც ახალგაზრდებსა და მათ ოჯახებს განუცხადეს, რომ „თუ მეორე მხარეს გადავიდოდნენ, უკან ვერასდროს დაბრუნდებოდნენ“.

აფხაზეთის რეგიონში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა უარყოფითად აისახება რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების ხარისხზე. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში მათთვის რთულია ეროვნულ გამოცდებზე კონკურენციის გაწევა ენგურს მიღმა მცხოვრები თანატოლებისთვის. სწორედ ამიტომ, თანაბარი შესაძლებლობების შექმნისა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად თბილისმა განსაკუთრებული მიდგომა შეიმუშავა.

ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის 2019 წელს სკოლის შემდგომი მოსამზადებელი პროგრამა შეიქმნა, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი კურსის გავლას, ყოველთვიურ სტიპენდიას და საცხოვრებლით უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის **„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“** ერთ-ერთი ინსტრუმენტია და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მოხვედრის შესაძლებლობას იძლევა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან 2019 წელს ამ გზით საქართველოს უნივერსიტეტებში 139, ხოლო 2020 წელს 180 სტუდენტი ჩაირიცხა. ჯამში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა.

ქართული ენის არმცოდნე აფხაზი ახალგაზრდებისთვის შექმნილია განსხვავებული, 1+4 პროგრამა, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტებში მოხვედრის შესაძლებლობას მხოლოდ აფხაზური ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე იძლევა.

აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ნებისმიერი ზემოაღნიშნული გზით მოხვედრილი სტუდენტი უზრუნველყოფილია საცხოვრებლით და განათლებას სრულიად უფასოდ იღებს. ამასთან, მას შესაძლებლობა აქვს, ისწავლოს როგორც ქართულ ისე რუსულ ან ინგლისურენოვან ფაკულტეტზე, ხოლო სწავლის პროცესში ან მისი დასრულების შემდგომ, განათლების მიღება საერთაშორისო სტიპენდიითა და პროგრამით გააგრძელოს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ განათლების მიღების ეს შესაძლებლობები არ უკავშირდება საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფლობას. სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ შეიქმნა სრულიად ნეიტრალური ინსტრუმენტი – პირადი ნომრით რეგისტრაცია, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებასა და სრული დაფინანსების მიღებას აფხაზური დოკუმენტების საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ნომრით. აღსანიშნავია, რომ პირადი ნომერი საქართველოში ყველა კატეგორიის პირს, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს ენიჭებათ.

საქართველოს კანონმდებლობით სრულიად ნეიტრალური პროცედურაა გათვალისწინებული აფხაზეთის რეგიონში მიღებული ზოგადი თუ უმაღლესი განათლების აღიარებისთვისაც. 2017 წლიდან ეს პროცესი კიდევ უფრო გამარტივდა. შედეგად, განათლების აღიარების საბუთის მიღება შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ენგურზე გადმოსვლის თუ მონწმეების წარმოდგენის გარეშე –ონლაინ-განაცხადის წარდგენის გზითაც, მათ შორის – აფხაზურ ენაზე როგორც პირადად, ისე პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის მეშვეობით. აღიარების ამგვარი დოკუმენტი როგორც სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების შესაძლებლობას იძლევა.

ხარისხიანი განათლების მიღების ეს უნიკალური შესაძლებლობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რადგან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, მათთვის ამგვარი განათლების საკუთარი სახსრებით მიღება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სტუდენტები, რომლებიც განათლებას წამყვან საგანმანთლებლო დაწესებულებებში მიიღებენ, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. შესაბამისად, როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოების ინტერესშია, ახალგაზრდებს მიეცეთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სწავლის შესაძლებლობა, ხოლო აფხაზეთის რეგიონში ჯერ კიდევ არსებული პოლიტიკა, რომელიც ამ უნიკალურ შესაძლებლობებს ხელოვნურად ზღუდავს, ამ მხრივ სრულიად გაუმართლებელია და თავს მოხვეული. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება აფხაზური საზოგადოების ინტერესებს. ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ აფხაზური კანონმდებლობა არ აღიარებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტებს. ეს ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთში დაბრუნებულ კვალიფიციურ ახალგაზრდებს საშუალება არ ეძლევათ, საკუთარი პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, მათ შორის – ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ეკოლოგიისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. **არსებული ზოგადი სტატისტიკით, საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის დასრულების შემდეგ აფხაზეთის რეგიონში ახალგაზრდების არაუმეტეს 26% ბრუნდება, დაბრუნებული პირებიდან მხოლოდ 22% ახერხებს დასაქმებას, 78% კი უმუშევარი რჩება.**

ამასთან, აფხაზ თანატოლებთან შედარებით, ეთნიკურ ქართველებს კიდევ უფრო მეტი ხელოვნური დაბრკოლება ექმნებათ: მათ უარს ეუბნებიან ადგილობრივი დოკუმენტების მიღებაზე, რაც დასაქმების აუცილებელი პირობაა. ამიტომაც სტუდენტების უმრავლესობა სწავლის დაწყების დროისთვის უკვე ამბობს, რომ აღარ აპირებს, დაბრუნდეს.

**დასტური იმისა, რომ აფხაზეთის რეგიონში არსებული განათლების პოლიტიკა თავსმოხვეულია, არის ისიც, რომ სტუდენტებისა და მათი მშობლების დაშინებისა თუ გადაადგილების უეცარი შეზღუდვის ფუნქცია თავის თავზე ФСБ-ს აძვს აღებული.**

იმ ვითარებაში, როცა აფხაზურ საზოგადოებას განვითარება სჭირდება, არაერთი დარგის სპეციალისტები აკლია და ამ დრომდე განათლების საბჭოთა სისტემა აქვს, სწორედ მის ინტერესშია, ხელი შეუწყოს მისი წევრების მიერ ხარისხიანი განათლების მიღებას, სხვადასხვა პროფესიების დაუფლებას და, რაც მთავარია, უკან დაბრუნებას, რათა იმუშაონ და მიღებული ცოდნა ამ საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენონ.

ის, რომ აფხაზეთში არ არიან საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ახალგაზრდა სპეციალისტები, თანამედროვე ცოდნითა და ხედვით, გამოწვევაა ქართული საზოგადოებისთვისაც. კვალიფიციური კადრების აღზრდა და მშობლიურ გარემოში დაბრუნება არის აფხაზებისა და ქართველების საერთო ამოცანა, რადგან აფხაზეთის რეგიონის დაცარიელება და ახალგაზრდების გადინება არც ქართველების, არც აფხაზების ინტერესში არ შედის.

**თამარ ძოწორაძე.**
**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი**

**მასალა მომზადებულია ახალი ამბების სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ჩეხეთის საელჩოს დაფინანსებით ხორციელდება**

# მერკელმა სამხედრო დაპირისპირება აღკვეთა

**თურქეთსა** და საბერძნეთს შორის 21 ივლისს სამხედრო კონფრონტაცია გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აღკვეთა. გამოცემა წერს, რომ ორივე ქვეყნის სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდები და სამხედრო თვითმფრინავები მზადყოფნის რეჟიმში იყვნენ მას შემდეგ, რაც თურქეთმა საბერძნეთის კუნძულ კასტელორიზოზე საკვლევი გემის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო, რათა გაზისა და ნავთობის სადაზვერვო სამუშაო შეესრულებინა. 21 ივლისს საბერძნეთის ფლოტში განგაში გამოცხადდა და პარალელურად 18 თურქული გემი უკვე კუნძულისკენ მიემართებოდა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთი დღით ადრე საბერძნეთის კუნძულის თავზე თურქეთის არმიის ორმა „ეფ 16“-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა გადაიფრინა. ესკალაციის ზრდის ფონზე ანგელა მერკელმა ტელეფონით დაურეკა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანს და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კირიაკოს მიცოტაკისს, რის შემდეგაც თურქეთის ფლოტმა კურსი შეცვალა.



## „ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ“ ᲐᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

**ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ** სავანაში ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად, აკაციები ყნოსვით ნიშნებს იყენებენ. როცა ჟირაფები აკაციას მიადგებიან და მისი ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების ცოხნას იწყებენ, ეთილენის გაზის მეშვეობით ხე მეზობლებს უბედურების ნიშანს გადასცემს. ამის შეტყობინებისთანავე, სხვა აკაციები თავიანთ ფოთლებს შხამიანი მთრიმლავი ნივთიერებებით აჯერებენ.

ამიტომაც, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ჟირაფები ყოველთვის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილდებიან ანდა მეზობელ ხეებს იგნორირებენ და მორიგ „ტრაპეზს“ ასიოდე მეტრის მოშორებით იწყებენ.

## ᲭᲐᲛᲘ ᲡᲘᲑᲔᲠᲘᲡᲐ

**ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲭᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐᲨᲘ – ᲓᲐᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲐ.**

მოახლოებული სიბერის მარკერებად, საშუალო ასაკის ადამიანები ჭაღარას მეხსიერების გაუარესებასა და გახშირებულ ავადმყოფობას მიიჩნევენ. გამოკვლევებმა კი აჩვენა, რომ დაბერება ცხოვრებისადმი ინტერესის კლებით და საყრდენ-სამოძრაო აპარატთან დაკავშირებული პრობლემებით იწყება.

## ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐ, ᲡᲣᲜᲘ...

**ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ** სახეები სექსუალურად ყველაზე მიმზიდველია. ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ სექსუალური ლტოლვა იმ ნიშნებს უკავშირდება, რომლებიც ქვეცნობიერ დონეზე მოქმედებენ. მათგან მთავარია სხეულისა და სახის გეომეტრია, რომელსაც ჯანმრთელობისა და კარგი გენეტიკის ნიშნად აღვიქვამთ.

მეორე ნიშნიანი ოფლის სუნია, რომელიც პოტენციური პარტნიორის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს.

## ᲙᲑᲘᲚᲘ... ᲪᲮᲕᲘᲠᲨᲘ

**ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ** ამბავი მოხდა ჩინეთში, სადაც ქალს კბილი... ცხვირში ამოუვიდა. თუმცა კი უადგილო ადგილებში ამოსული ზედმეტი კბილები მაინცდამაინც დიდი იშვიათობა არ ყოფილა, აცხადებენ სწავლული სტომატოლოგები. სტატისტიკური მონაცემებით, დამატებითი კბილები ადამიანთა 3 პროცენტს აქვს, ეს იმით აიხსნება, რომ ორგანიზმში გარკვეული შეფერხების გამო ორსულობის დროს კბილების ჩანასახები, სადაც საჭირო იყო, იქ არ ჩაინერგა. ყველაზე ხშირად ზედმეტ კბილებს მუცლის ღრუში ან ყბის შიგნით ნახულობენ, მაგრამ ცხვირში კბილის ამოსვლა საკმაოდ დიდი იშვიათობაა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „დუბლიკატ ორგანოთა“ რიგში კბილები ყველაზე მეტად უწყინარი და უსაფრთხო ვარიანტია. მათ მხოლოდ მაშინ იღებენ, როცა ისინი დისკომფორტის მიზეზად იქცევიან. გაცილებით უფრო მეტ პრობლემას და უხერხულობას დამატებითი... ცხვირები და ყურები ჰქმნიან, რომლებიც ადამიანებს შიგადაშიგ აღმოაჩნდებათ ხოლმე.

## ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲒᲧᲐᲕᲗ...

**ᲡᲐᲮᲚᲨᲘ** კარგად მოვლილი ძაღლის ყოლა ბავშვებში ასთმისა და ატიპიური დერმატიტის წარმოშობის საფრთხეს ამცირებს.

ასევე ძალიან დიდი სარგებლის მომტანია ფეხმძიმობის დროს მომავალი დედის ძაღლთან ურთიერთობა. გამონაკლისს მხოლოდ ის შემთხვევები წარმოადგენს, როცა დედას ან ბავშვს ძაღლის ბეწვზე ალერგია აქვს – ესაა ამ სნეულების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სახეობა, რომელიც მკურნალობას ძნელად ექვემდებარება.

## ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲛᲐᲢᲝᲗ

**ᲓᲘᲔᲢᲘᲡ** დაცვის გარდა, არსებობს ჭარბი წონის აკრეფისგან თავის არიდების რამდენიმე საკმაოდ ეფექტიანი ხერხი, რომელთაგან ზოგიერთს გთავაზობთ:

– **გამოიყენეთ სანელებლები.** ვინც სანელებლიან საჭმელს მოიხმარს, ნაკლებს ჭამს;

– **ნელა ჭამეთ.** ჭამის დრო არანაკლებ 20-30 წუთი უნდა იყოს;

– **ცხიმიანი საკვები უმჯობესია ვერცხლის ქაღალდში შეინახოთ.** ასე ის თვალში არ მოგხვდებათ, სასარგებლო სურსათი კი მუდამ თვალწინ გქონდეთ;

– **პიცა ან ტორტი უმჯობესია არა 8, არამედ 16 ნაჭრად დაყოთ.** ასე უფრო ნაკლებს შეჭამთ;

– **ნურაფერს აიკრძალავთ.** რაღაც საჭმელს „შავ სიაში“ თუ შეიტანთ, ერთხელაც ცდუნებას აჰყვებით და იმაზე მეტს შეჭამთ, ვიდრე აკრძალვის გარეშე მიირთმევდით;

– **გამოიყენეთ პატარა თეფშები.** რაც უფრო მცირე ზომისაა თეფში, მით უფრო ნაკლებია ულუფა;

– **ჩვეულებრივი ჭიქა მაღალი და ვიწროთი შეცვალეთ.** პატარა ეშმაკობის წყალობით უფრო ნაკლებ მავნე სასმელს დალევთ;

– **შეიძინეთ ლურჯი ან მწვანე ჭურჭელი. ეს ფერები** კარტოფილისა და მაკარონის ფერებისგან განსხვავდება და კარგად ეხამება მწვანილს. საქმე ისაა, რომ თუკი თეფშის საჭმლის ფერს ემთხვევა, თქვენ მას ავტომატურად მეტს იდებთ.



**მოამზადა ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔᲛ**

# ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲔᲕᲡᲙᲐᲘᲐ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ „ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ“ ᲚᲝᲖᲣᲜ�გᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ!..“

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვალენტინა დანიშევსკაიამ,** სააგენტო „Интерфакс-Украина“-ს კორესპონდენტთან ინტერვიუში უკმაყოფილება გამოხატა რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **მიხეილ სააკაშვილის** მიმართ და განაცხადა, რომ იგი ბევრს ლაპარაკობს, საქმით კი არაფერს არ აკეთებს.

გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან:

**— ჩვენ ძალზე ბევრი რამ გვესმის უკრაინაში მასშტაბური სასამართლო რეფორმის გატარებაზე, როგორ უყურებთ მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორულ იდეებს? მიგაჩნიათ თუ არა რაციონალურად მისი ინიციატივა უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში უცხოელი მოსამართლეების მოწვევაზე? მიზანშეწონილია თუ არა იდეა უკრაინაში მოსამართლეთა 90%-ის შეცვლაზე, როგორც ეს საქართველოში განხორციელდა?**

— მიხეილ სააკაშვილისაგან, რადიკალური რევოლუციური ლოზუნგების გარდა, ჩვენ რაიმე კონკრეტული არაფერი არ გვესმის. იგი ლაპარაკობს იდეალური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იდეალურად იმუშავებს და, შესაბამისად, იმ (ახალ სისტემაში) იდეალური მოსამართლეები დაინიშნებიან.

უცხოელი მოსამართლეების მოწვევის იდეაზე კი ასე ვიტყოდი: ამგვარ მოსამართლეთა მუშაობის შედეგი დაკავშირებული იქნება იმასთან, თუ როგორი სახელმწიფო გვექნება, რომელმაც მათი დამოუკიდებლობა უნდა დაიცვას.

**— მაგრამ ეს ხომ არაკონსტიტუციური იქნებოდა...**

— დიახ, უკრაინის კონსტიტუციის მიხედვით, უცხოელი მოსამართლეების მოწვევა შეუძლებელია. ქვეყნის ძირითადი კანონი ითხოვს, რომ მოსამართლე უკრაინის მოქალაქე უნდა იყოს, რომ მან უკრაინული სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს... საერთოდ კი, მე არ ვიცი მაგალითი მსოფლიო პრაქტიკაში, რომ ასეთმა იდეამ მართლმსაჯულებაში რაიმე გარღვევა მოიტანა.

რაც შეეხება საქართველოს სასამართლო სისტემას: ჩვენ ყოველთვის მოხარულნი ვართ ჩვენი კოლეგების წარმატებებისა სხვა ქვეყნებში, მაგრამ არა მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი თვითონ იყოს კმაყოფილი ქართველი მოსამართლეების მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენით.

ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებთ კონსტრუქციულ კრიტიკას, ვაანალიზებთ წინადადებებს და შენიშვნებს. მიხეილ სააკაშვილის ლოზუნგებში კი კონკრეტულს ვერაფერს ვხედავთ. ჩვეულებრივად ასე ხდება, რომ კონსტრუქციული დიალოგის დროს განისაზღვრება პრობლემა, სასურველი შედეგი და ამ შედეგის მიღწევის ოპტიმალური გზა. აი, მე ასეთი მუშაობის მომხრე ვარ.

**— დიალოგი თუ გაქვთ რეფორმების ეროვნულ საბჭოსთან? მიხეილ სააკაშვილთან?**

— არავითარი დიალოგი არ არსებობს. რეფორმების საბჭოდან ჩვენთვის არავის არაფერზე არ მოუმართავს, მათი მხრიდან არანაირი კომუნიკაციის მცდელობა არ ყოფილა. თუ იქნება იდეები და წინადადებები, რაიმე პრობლემური საკითხის განხილვის ინიციატივა, ჩვენ იმავე წუთს გამოვეხმაურებით. უმაღლესი სასამართლო ხომ უპირველესი სტრუქტურაა, რომელიც მართლმსაჯულების გაუმჯობესებით არის დაინტერესებული.

**„ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ“**

## ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული საგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე, საქართველოში მცხოვრები ირანის ორი მოქალაქე დააკავეს, — ინფორმაციას სუს-ი ავრცელებს.

უწყების ცნობით, აღნიშნული პირები ე.წ. „ჰავალას“ მეთოდის გამოყენებით საქართველოდან ირანის ისლამური რესპუბლიკის საბანკო სისტემაში ფულადი გზავნილების განხორციელებას აღნიშნული საქმიანობისთვის საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე, ქართული საბანკო სისტემის გვერდის ავლით ახდენდნენ. შედეგად კი, ბრალდებულები ფულადი თანხების კონვერტაციისა და გადარიცხვების სახით გაწეული მომსახურების სანაცვლოდ დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ.

**„დადგენილია, რომ მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს თანხის ბრუნვამ — 12 603 569 ლარი, ხოლო მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში — 504 142 ლარი შეადგინა. ბრალდებულების ოფისების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 155 897 აშშ დოლარი, 8 730 ევრო და 66 673 ლარი. გამოძიება უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებზე მიმდინარეობს. გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“,** — აღნიშნულია სუს-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲙᲐᲚᲘᲔᲑᲡ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲔᲜ

**ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ** ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აღმოსავლეთ საქართველოში კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება გრძელდება.

**„სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობს მწვანე საფარის შენარჩუნებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას.**

**საშიში მავნებლის საწინააღმდეგო შეწამვლა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ყოველწლიურად ტარდება. დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოში კალიების საწინააღმდეგოდ სულ დამუშავებულია 50 ათასამდე ჰა ფართობი.**

**მონიტორინგის და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ყოველწლიურად ტარდება ტრანსასაზღვრო კვლევები საქართველოს და მეზობელი ქვეყნების მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მონაწილეობით“,** — აცხადებენ სააგენტოში.



# „რაჭას ხომ არ მიბრძანდებით, კონსტანტინე ბატონო!“

**ნახევარი საუკუნე სრულდება მას შემდეგ, რაც რაჭას დიდოსტატი კონსტანტინე სტუმრობდა. ქართული მწერლობის კლასიკოსს, მის ვაჟს ზვიადს, რძალს დალი ლოლუასა და გიორგი ნატროშვილს ბოლთის აგარაკზე რევაზ ჯაფარიძის ოჯახმა უმასპინძლა.**

ეს ის დროა, როცა საქართველოს ამ ულამაზეს მთიან მხარეში კულტურული ცხოვრება ჩქეფს. სამაგალითოდ მხოლოდ ონის სახალხო თეატრის სცენაზე გამოჩენილი რეჟისორის გიგა ჯაფარიძის მიერ დადგმული საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლების დასახელებაც კმარა (თუნდაც გერცელ ბააზოვის უკვდავი პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“), მაგრამ, დაგვეთანხმებით, უკვე ხანდაზმული გამსახურდიას ჩამობრძანება სულ სხვაგვარად უნდა შეფასდეს.

ვიდრე მაშინდელი ორდღიანი მოვლენის რამდენიმე ნიუანსს გაგაცნობთ, საჭიროდ მიგვაჩნია, გაუწყოთ, რომ აღნიშნული წალკოტის შექმნა მთლიანად თვალსაჩინო პროზაიკოსისა და პუბლიცისტის სახელს უკავშირდება. დიახ, იქ დღესაც შეხვდებით თანამედროვეებს, რომლებსაც კარგად ახსოვთ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში როგორ ეზიდებოდა ბატონი რევაზი ქვა-ღორღიან აღმართზე ისეთ სამშენებლო „მარგალიტებს“, როგორიცაა ქვიშა, ცემენტი, „რასტვორი“ და ძმანი მათნი. დავძენთ, რომ სწორედ ბოლთაში დაწერა ეროვნულობით გამორჩეულმა კალმოსანმა მრავალი ნააზრევი, მათ შორის — მისი შემოქმედების გვირგვინი „მძიმე ჯვარი “.

რაც შეეხება სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობას, იგი სცილდება სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ჩვეულებრივ კონტაქტს და, უპირველესად, სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე მათი ზრუნვითაა ნასაზრდოები. სხვათა შორის, ეს ვარაუდი იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ, თუ არ ვცდებით, არც მანამდე და, მით უმეტეს, არც შემდგომშიაც დიდოსტატს მსგავსი სტუმრობით გაბედნიერების პატივი არავისთვის დაუდვია.

ახლა კი მთავარის შესახებ. როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ასეთ საპატიო სტუმარს უნდა დავხვედროდით, ონის რაიკომის პირველმა მდივანმა აკაკი გოგლიძემ მაშინვე ბატონი რევაზის ბიძაშვილს, 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე ადგილობრივი ბაგა-ბაღის გამგესა და სახალხო მსაჯულ მაყვალა ჯაფარიძეს დაურეკა და ღირსეულად სამასპინძლოდ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში დახმარება სთხოვა.

მართალია, ეს ურთულესი ამაცანა გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა ბრწყინვალედ ჩაიარა. თქვენ წარმოიდგინეთ, სუფრაზე, რომელსაც, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა, ელარჯიც კი „ელავდა“, რამაც, ბუნებრივია, ბატონი კონსტანტინე აღაფრთოვანა. როგორც გაირკვა, იგი სამკერვალო ფაბრიკის მეგრელმა თანამშრომელმა მოამზადა, რომელიც რაჭველთა რძალი იყო

ალბათ, დაგაინტერესებთ, რატომ არ ამშვენებს შემოთავაზებულ წერილს ისტორიული სტუმრობისა და წვეულების ამსახველი ფოტოები. ისინი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა და, როგორც შევიტყვეთ, ბატონი ზვიადის მეორე მეუღლემ გაანადგურა.

რაც შეეხება პირველს, იგი შემდგომაც ინარჩუნებდა ახლო ურთიერთობას ჯაფარიძეებთან, რაზეც შემდეგი ფაქტი მეტყველებს. როცა კოკო გამსახურდია ჯარში გაიწვიეს და მას ავღანეთში გადასროლა ემუქრებოდა, ქალბატონმა დალიმ საშველად რევაზ ჯაფარიძეს მიმართა და მანაც საკითხი სწორად გადაჭრა, თუმცა, მოგვიანებით ბატონი ზვიადისგან ფოსტით საყვედური მიიღო —



რა საერთო გაქვთ იმ ქალთანო. მრავლისმთქმელი გახლდათ „აწონილი სიტყვის“ ავტორის სატელეფონო პასუხი: როდიდან დაიწყო ჩვენს შორის წერილობითი ურთიერთობა? რაც შეეხება დალის, ნუ გავიწყდება, რომ იგი შენი ვაჟის დედაა!

და კიდევ: თბილისისკენ წამოსულ დელეგაციას რაღაცის წამოღება დაავიწყდა და ცნობილი გეოლოგი ირაკლი ჯაფარიძე საპატიო სტუმრებს „ვილისით“ დაედევნა, მაგრამ „ვოლგას“ რას დაეწეოდა?..

**გია პლატონიშვილი**

## სპორტი

# ზედიზედ მესამე!

**ტოკიოში მიმდინარე ივლისის ბაშოზე ლევან გორგაძე ბოლო დროს საოცარ კონდიციებში შევიდა. ქართველმა სუმოისტმა მე-6 საშეჯიბრო დღეს ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. ტოჩინოშინი მე-14 მაეგაშირა კოტოშოგიკუს დაუპირისპირდა და მეტოქე უვატენაგეს ილეთით დაამარცხა.**

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეხვედრის დაწყება წყვილს რამდენჯერმე მოუწია. მეორე ჯერზე „ტოჩიმ“ 36 წლის სუმოისტი მაცდური ილეთით დაამარცხა, თუმცა, ბრძოლა კვლავ ახლიდან შედგა. ჩვენებურმა კოტოშოგიკუს მაინც არაფერი დაუთმო და გამარჯვება თვითონ მოიპოვა.

გორგაძისთვის კოტოშოგიკუ კარგად ნაცნობი მეტოქეა, რადგან გუშინდელი დაპირისპირება მათთვის 36-ე იყო, რომელთაგანაც ქართველმა 11 მოიგო, 25-ჯერ კი დამარცხდა.

ამრიგად, ლევანს 4 მოგების საპირისპიროდ 2 მარცხი აქვს და ამ გადმოსახედიდან დადებითი ბალანსის განაღდება არ უნდა გაუჭირდეს, ამისთვის კი დარჩენილი 9 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 4 უნდა მოიგოს. „ტოჩის“ მომავალი მეტოქე მე-16 მაეგაშირა კოტოეკო იქნება, რომელსაც აქამდე არასდროს შეხვედრია.

**გეჟან დოლიძე**

**საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განთესილთა შორის იქნება და შესაბამისად, მეტოქე განუთესავი და უფრო სუსტი ეყოლება.**

კახა ჩხეტიანის გუნდის სავარაუდო მეტოქეები უკვე ცნობილია: ფოლა ეში (ლუქსემბურგი), იურგორდენი (შვედეთი), ბუდუჩნოსტი პოდგორიცა (მონტენეგრო), ფლორა (ესტონეთი), ბრესტის დინამო (ბელარუსი), რიგა (ლატვია), კონაქვი ნომედსი (უელსი), კლაკსვიკი (ფარერის კუნძულები), ევროპა (გიბრალტარი), ცელიე (სლოვენია), არარატ-არმენია (სომხეთი), კუპსი (ფინეთი), რეიკიავიკი (ისლანდია), ტირანა (ალბანეთი), სილექსი (ჩრ. მაკედონია), ფლორიანა (მალტა) და წინასწარი საკვალიფიკაციო რაუნდის გამარჯვებული.

ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 9 აგვისტოს გაიმართება, ხოლო მატჩები 18-19 აგვისტოს ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ მომდევნო ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა ერთი მატჩით გამოვლინდება.

**გიორგი ზოთაძე**

# სავარაუდო მეტოქეები

# სანიკიძის აზრით

**საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე რუსულ მედიას თორნიკე შენგელიასა და მოსკოვის ცსკა-ს შესახებ ესაუბრა.** ვიქტორი ფიქრობს, რომ ცსკა ევროლიგის მოგების მთავარი ფავორიტია, ხოლო შენგელია ევროპის საუკეთესო მე-4 ნომერი.

**„თუ გადავხედავთ ცსკა-ს შემადგენლობას, შთამბეჭდავია. ახლა დიმიტრის იტუდისის განკარგულებაში ერთდროულად სამი ვარსკვლავია, რომლებიც ევროლიგის გასულ სეზონში ყველაზე სასარგებლო 6 მოთამაშეში მოხვდნენ: მაიკ ჯეიმსი, ნიკოლა მილუტინოვი და თორნიკე შენგელია. პლიუს ბოლო „ოთხთა ფინალის“ MVP უილ კლაიბერნი. ვფიქრობ, რომ ისინი ახალ სეზონში ტრიუმფის მთავარი კანდიდატები არიან, თუმცა, შეიძლება ზოგიერთი კონკურენტი NBA-ს გამოცდილების კალათბურთელებით გაძლიერდნენ.**

**მნიშვნელოვანია, რომ თორნიკემ ბასკეთი დატოვა, სადაც დიდი დაფასება მოიპოვა, ესპანეთის ჩემპიონი გახდა და იქაური კარიერა პოზიტიურ ნოტაზე დაასრულა. უტიტულოდ ესპანეთის დატოვება მაინც გულში ხინჯად დარჩებოდა. ახლა მან ახალი გამოწვევა მიიღო და დარწმუნებული ვარ, ეს იქნება სასარგებლო თანამშრომლობა. ცსკა-მ ევროპაში საუკეთესო მე-4 ნომერი დაიმატა, ხოლო შენგელიამ მიიღო შესაძლებლობა, ევროლიგის მოსაგებად იბრძოლოს“,** — თქვა სანიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ შენგელიამ მოსკოვის ცსკა-სთან დაახლოებით ორი კვირის წინათ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# რა ელის აია სოფიას ტაძრებს თურქეთში?

## ძეგლები, რომლებიც თურქეთში მეჩეთებად გადააკეთეს

**მას შემდეგ, რაც თურქეთის სამთავრობო საბჭომ წმინდა სოფიას ტაძარს მეჩეთის სტატუსი დაუბრუნა, მეცნიერები და იუნესკოს წარმომადგენლები ბჭობენ: მოხერხდება თუ არა, რომ ისტორიული ძეგლი ტურისტებისა და მკვლევრებისთვის კვლავაც ხელმისაწვდომი იყოს, რა მოუვათ ფრესკებსა და მოზაიკებს და ასე შემდეგ.**

წმინდა სოფიას ტაძარი პირველი არ არის, რომელიც ჯერ მეჩეთად გადაკეთდა, შემდეგ მუზეუმად და შემდეგ ისევ მეჩეთად. 2019 წელს მეჩეთის სტატუსი მიიღო მაცხოვრის სახელობის ტაძარმაც, 2013 წელს აია სოფიას ტაძარმა ტრაპზონში, 2011 წელს კი აია სოფიას ტაძარმა ნიკეაში (იზნიქი). ესენი ბიზანტიური ტაძრებია, რომლებიც ოსმალურმა იმპერიამ მეჩეთებად გადააკეთეს. მე-20 საუკუნეში მათ მუზეუმების სტატუსი მიიღეს. ზოგიერთ მათგანში შენარჩუნებულია ბიზანტიური კულტურის უნიკალური ნიმუშები — ფრესკები და მოზაიკა.

### სოფია ნიკეაში - გადარჩენილი ფრესკა მინის ქვეშ

**ნიკეის წმინდა სოფიას ტაძარი ბიზანტიის ერთ-ერთი უძველესი ტაძარია, ის მე-6 საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ ააშენა. სწორედ ამ ტაძარში ჩატარდა 787 წელს ბოლო მსოფლიო კრება, რომელსაც კათოლიკეებიც აღიარებენ და მართლმადიდებლებიც.**

1331 წელს, როდესაც თურქებმა მცირე აზიის ნაწილი დაიპყრეს, ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა. 1922 წელს ხანძარმა შენობა სერიოზულად დააზიანა. 1935 წელს ის უკვე მუზეუმი გახდა, მაგრამ კომპლექსური რესტავრაცია მხოლოდ 2007 წელს გაუკეთდა, 4 წლის შემდეგ კი მუზეუმი უკვე მეჩეთად გადააკეთეს. ხანძრის შემდეგ ბიზანტიური გამოსახულებები თითქმის აღარ დარჩა, ამიტომ დასაფარიც არაფერი იყო. ახალ შენობას მხოლოდ ხალიჩები შეემატა და ფირფიტები, რომლებზედაც ყურანიდან ამოღებული ციტატები იყო დატანილი.

**„ნიკეას აია სოფიაში ერთი ფრესკაა — დეისუსი. მასზე ღვთისმშობელი, ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი არიან გამოსახული. ის მინით დაფარეს“,** — ჰყვება თურქული პრესის მიმომხილველი ოლგა ტოპჩუ, რომელმაც აია სოფია რამდენიმე წლის წინ მოინახულა.

### სოფია ტრაპზონში - მეჩეთიც და მუზეუმიც

წმინდა სოფიას ტაძარი ტრაპზონში მე-13 საუკუნეშია აშენებული. 1461 წელს სულთანმა მეჰმედ მეორემ ტრაპზონი დაიპყრო და ტაძარი მეჩეთად გადააკეთა. თურქეთის ამ ნაწილში თითქმის პირველ მსოფლიო ომამდე ბერძნები ცხოვრობდნენ და ქრისტიანული ტაძრებიც მოქმედი იყო. შემდეგ დაიწყო პონტოელი ბერძნების მასობრივი ჟლეტა და ამ ტერიტორიაზე უმეტესად თურქები დასახლდნენ.

1916 წელს ტრაპზონი რუსულმა ჯარებმა დაიკავეს. ტაძარში ჰოსპიტალი გაიმართა. ამ დროს რამდენიმე ფრესკა აღმოაჩინეს. 1958 წელს აია სოფიაში რესტავრაცია ჩაატარეს და საღებავის ფენის ქვეშ ავთენტურ ფრესკებს წააწყდნენ, რომლებიც მე-13 საუკუნეს მიეკუთვნებოდა. 1964 წელს კომპლექსმა მუზეუმის სტატუსი მიიღო, თუმცა 2013 წელს თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ აია სოფია ისევ მეჩეთად გადაეკეთებინა.

ახლა შენობა ორად არის გაყოფილი — მუზეუმად და მეჩეთად. მუზეუმად ტაძრის ის ნაწილი იქცა, სადაც ფრესკებია შემონახული. იქ ტურისტებს ცალკე შესასვლელიდან უშვებენ. მეორე ნაწილში ხალიჩები და ტენტებია, რომლებიც გუმბათის მოხატულობას ფარავს. იქ მუსულმანები ნამაზს ასრულებენ.

### ტურისტებისთვის არაფერი შეცვლილა

**მაცხოვრის ტაძარი ერთ-ერთია იმ ძეგლებიდან, რომლებიც ბიზანტიურ კულტურას მიეკუთვნება და კარგ მდგომარეობაში შემორჩა. ფრესკების რაოდენობით ის სტამბოლის აია სოფიას ედრება. ტაძარი მე-4 საუკუნეში აშენდა, მე-11 საუკუნეში კი გადაკეთდა. კოსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ის მეჩეთი გახდა, მაშინ ფრესკები კირით დაფარეს.**

1948 წელს ამერიკელმა არქეოლოგმა თომას უიტემორმა, რომელიც სტამბოლის აია სოფიას მოზაიკებს სწავლობდა, მაცხოვრის ტაძრის რესტავრაციაც დააფინანსა. კირის ფენა მოხსნეს და ბევრი საკრალური გამოსახულება აღადგინეს. 10 წლის შემდეგ შენობა გაიხსნა, როგორც მუზეუმი, 2019 წელს კი ის ისევ მეჩეთად გადააკეთეს.

**„ტურისტებისთვის არაფერი შეცვლილა. მოზაიკები და ფრესკები არ დაუფარავთ. ტურისტები ძველებურად სტუმრობენ კომპლექსს. შიგნით ძველებურად მუშაობს სუვენირების მაღაზია“,** — ამბობს ირინა კაპლანი, რელიგიის მიმომხილველი.

### რა ელის წმინდა სოფიას სტამბოლში?

თურქი ისტორიკოსი თორგული ისმაილი ამბობს: **„პირველ რიგში, შესვლა უფასო გახდება, როგორც ყველა დანარჩენ მეჩეთში. სოფია ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტია ბიუჯეტისთვის. შესასვლელი ბილეთი, დაახლოებით, 15 დოლარი ღირს. შარშან სოფიას 3 მილიონ 200 ათასი ადამიანი ესტუმრა. სტატუსის შეცვლით ბიუჯეტი წელიწადში 50 მილიონი დოლარით იზარალებს, მაგრამ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილების ფასი“.**

რაც შეეხება ფრესკების შენარჩუნებას, ისტორიკოსის აზრით, სანერვიულო აქ არაფერია:

**„ახლა უფრო თანამედროვე მეთოდებია. მაგალითად, ნამაზის დროს შეიძლება ფრესკები ფარდით დაიფაროს, შემდეგ კი ისევ გაიხსნას“,** — ამბობს ის და ირწმუნება, რომ მკვლევრებს შეეძლებათ, ექსპონატებზე ძველებურად იმუშაონ. თურქული გაზეთი Hurriyet წერს, რომ მთავრობა აპირებს აია სოფიაში საგანგებო განათება დააყენოს, რომლის მეშვეობით ნამაზის დროს ფრესკები აღარ გამოჩნდება.

**დიმიტრი გორევოი**
„რადიო თავისუფლება“

## სტამბოლში აია სოფიას მეჩეთის გახსნის ცერემონია გაიმართა

**გუშინ** დილიდან აია სოფიასთან ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ღონისძიებას ადგილობრივი და საერთაშორისო მედია აშუქებდა. აია სოფიას ტაძარში 86 წლის შემდეგ პირველად, ღვთისმსახურება შეასრულებს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ადგილზე 17 ათასი პოლიციელი იყო მობილიზებული. აღსანიშნავია, რომ პარასკევის ლოცვას თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანიც დაესწრო.



# მარიამ ღვთისმშობლის ხატი „სამხელიანი“

**25 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ ხსენებას. ეს დღესასწაული წელიწადში ორჯერ აღესრულება. ხატს ევედრებიან სულიერი მღელვარების, ხელების, ფეხების სნეულებების დროს, ხანძრის დროს.**

...717 წელს წმიდა იოანე დამასკელს ხატმებრძოლმა იმპერატორმა ლევონ ისავარიანმა დამასკოს მთავრის წინაშე ცილი დასწამა. დამასკოს მთავარმა კი საქმის გამოუძიებლად ხელი მოკვეთა იოანე დამასკელს (წმინდანს), შემდეგ მოკვეთილი ხელი ყველას დასაშინებლად მოედანზე დაკიდა... როცა მთავრის მრისხანება დაცხრა, წმიდა იოანე დამასკელმა თავისი ხელი გამოითხოვა მისგან და სენაკში ჩაიკეტა. დიდხანს ლოცულობდა ხატის (ღვთისმშობლის) წინაშე, ბოლოს ჩაეძინა.

...ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი სიზმარეულ ხილვაში გამოეცხადა და აუწყა, რომ ხელი განეკურნა. წმიდა იოანეს ბრძანებით ვერცხლისგან ჩამოასხეს ხელის მტევანი, რომელიც წმინდანმა ხატს შესწირა, სწორედ აქედან მოდის სახელწოდება, „სამხელიანი“, რომელიც შემდეგშიც მრავალ სასწაულს აღასრულებდა.

**გიული ლიპარტია**

# ყარაჯალარი კვლავ ჩაიკეტა

**კორონავირუსის ახალი შემთხვევების გამო გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაჯალარი კვლავ ჩაიკეტა. გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საბჭომ გაზრდილი რისკის არგუმენტით მიიღო. მოსახლეობას სოფლის დატოვების უფლება არა აქვს. მათ COVID-19-ზე ამოწმებენ.** ბოლო ორი დღეა, ამ ტერიტორიაზე შესული ადამიანების თერმოსკრინინგი აქტიურად მიმდინარეობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც კოვიდინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდა და მხოლოდ ყარაჯალარში ინფიცირებულთა რაოდენობამ 23-ს მიაღწია, საჭირო გახდა სოფლის ჩაკეტვა.

**„თითოეული ფერმერი ან გლეხი, რომელსაც გააჩნია მწვანილი, დაურეკავს დისტრიბუტორს, რომელიც მოდის ჩამკეტ პუნქტთან. ისინი გადატვირთავენ თავიანთ პროდუქციას და ამ რეჟიმში უნდა ვიმუშავოთ პირველ ეტაპზე. ასევე, ეს ეხება მათ, ვინც ხორცს ყიდის და ვინც სურსათის მაღაზიებში მუშაობენ. პირველ რიგში, მათი ტესტირება უნდა ჩატარდეს. არა მარტო მათი, არამედ — მათი ოჯახებისაც. დისტრიბუტორებს მივცემთ საშუალებას, შემოვიდნენ ადგილზე, შეიძინონ ცოცხალი საქონელი და გაიტანონ. პრინციპი არის ერთი: აქედან, ამ ეტაპზე, ვერც ერთი ადამიანი ვერ გავა“,** — აცხადებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი. ამ დროისთვის, სოფლის ყველა შესასვლელი ცოცხალი ძალისა და დრონების მეშვეობით კონტროლდება. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 46 ადამიანს აქვს ახალი კორონავირუსის დიაგნოზი დადასტურებული.

# დღეიდან შიდა ფრენები განახლდება

**რეგულარული** **რეისები შესრულდება ნატახტარიდან მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტების, ხოლო თბილისიდან ბათუმის აეროპორტის მიმართულებით.**

24-დან 31 ივლისამდე პერიოდში მესტია-ნატახტარის მიმართულებით — ექვსი რეისი, თბილისი-ბათუმის მიმართულებით — ხუთი, ხოლო ამბროლაური-ნატახტარის მიმართულებით სამი რეისი შესრულდება. აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ავიაბილეთების ფასები არ შეცვლილა. ამ დროის მონაცემებით, 300-ზე მეტი ბილეთი უკვე გაყიდულია. 2020 წელი პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შიდა ტურიზმის წლად გამოცხადდა, ამიტომ, შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, შიდა ფრენების განვითარებას დიდი ყურადღება დაეთმობა.


# საჯარო გამოცხადება

**მოქ. ნუგზარ პაპუნიძის მიმართვა**
**მოქ: ანატოლი სერგოს ძე ტურგენევს**

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 სექტემბერს ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას დეპოზიტზე, თქვენს სასარგებლოდ განთავსდა თანხა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. თანხის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ მარიამ კვარაცხელიას სანოტარო ბიუროს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ., №10, ბ. №28.

## ქორწილი ორი ქვეყნის საზღვარზე

**სკანდინავიაში ინტერნაციონალურმა წყვილმა პანდემიის მიუხედავად ქორწილის გამართვა მოახერხა. გამოცემის ინფორმაციით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო კამილა ოიჯორნი და ალექსანდრ კლერნი სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩნდნენ — ქალი ნორვეგიაში, კაცი კი შვედეთში. შეზღუდვების გამო მათ ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის გადაკვეთა ეკრძალებოდათ.**

ამის შემდეგ კამილამ იხუმრა, რომ წინასწარ დაგეგმილი ქორწილის ტყეში გადახდა შეიძლება, თუმცა ეს იდეა წყვილის ნათესავებსა და მეგობრებს ძალიან მოეწონათ. ცერემონიის ჩასატარებლად წყვილმა ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტყე აირჩია, რომელიც შვედეთის საზღვარზეა. ქორწილს საკმაოდ ბევრი სტუმარი დაესწრო. ნეფისა და პატარძლის მხარეებს ერთმანეთისგან თეთრი ლენტი ყოფდა, რომლის გადაკვეთაც აკრძალული იყო. წესების დაცვას პოლიცია აკონტროლებდა.

## ჩინეთის პირველი როვერი მარსზე

**ჩინეთმა მარსის გამოსაკვლევი თავისი პირველი ზონდი „ტიანვენ-1“ წარმატებით გაუშვა. რაკეტამ „ჩანჩჟენ-5“ სტარტი ვენჩანის კოსმოდრომიდან აიღო. ზონდი მარსს 7 თვეში - 2021 წლის თებერვალში მიაღწევს. კოსმოსური სადგური პლანეტის ორბიტაზე 2 თვეს გაატარებს, აპრილში კი ზედაპირზე მარსმავალს ჩაუშვებს, რომელიც წითელი პლანეტის ზედაპირს შეისწავლის და მასზე წყლის პოვნას შეეცდება.**

„ტიანვენ-1“ კვირის განმავლობაში მარსისკენ მიმართული უკვე მეორე მისიაა. 20 ივლისს კოსმოსური აპარატი „ალ-ამალი“ („იმედი“) არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმაც გაუშვა.

## საბერძნეთში მეოთხე დღეა, ხანძარი მძვინვარებს

**ცეცხლი ნავსადგურ კორინთთან მდებარე დასახლება კეხრისთან არსებულ ტყეშია გავრცელებული. ბერძნული მედიის ინფორმაციით, ხანძრის ლიკვიდაციაში ჩართულია ვერტმფრენები.** სტიქიური უბედურების ზონაში მობილიზებულია 367 მეხანძრე. ისინი ცეცხლის ლიკვიდაციას რთული ლანდშაფტის გამო ვერ ახერხებენ.

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

## ახალი ტირანი... ამერიკისთვის

**შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ჩინეთს ახალი ტირანი უწოდა.**

**„თავისუფალმა სამყარომ უნდა გაიმარჯვოს ამ ახალ ტირანიაზე“,** — განაცხადა პომპეომ ჩინეთზე საუბრისას, 23 ივლისს, კალიფორნიაში რიჩარდ ნიქსონის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში სიტყვით გამოსვლის დროს.

**„თუ თავისუფალი სამყარო არ შეცვლის კომუნისტურ ჩინეთს, მაშინ კომუნისტური ჩინეთი ნამდვილად შეგვცვლის ჩვენ“,** — დასძინა სახელმწიფო მდივნმა. მაიკ პომპეომ დემოკრატიულ ქვეყნებს ჩინეთის წინააღმდეგ ახალი ალიანსის შექმნისკენ მოუწოდა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჩინეთი უსამართლო სავაჭრო პრაქტიკაში, ადამიანის უფლებების შელახვასა და ჩინეთის დაზვერვის მიერ ამერიკულ საზოგადოებაში უწესრიგობის შეტანის მცდელობაში დაადანაშაულა. პომპეოს თქმით, ჩინეთი იმეორებს საბჭოთა კავშირის შეცდომებს.

## ჩინეთი საკონსულოს დახურვას ითხოვს

**ჩინეთმა აშშ-ს მოუწოდა, ქალაქ ჩენდუში მდებარე საკონსულო დახუროს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთში აშშ-ის საელჩოს ინფორმაცია მიაწოდა, რომ უკან იწვევს თანხმობას ჩენდუში აშშ-ის გენერალური საკონსულოს არსებობასთან და მუშაობასთან დაკავშირებით.**

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებამ ასევე დააწესა კონკრეტული მოთხოვნები გენერალური საკონსულოს მიერ ყველა ოპერაციისა და ღონისძიების შეჩერების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება პეკინმა მას შემდეგ მიიღო, რაც აშშ-ის ხელისუფლებამ ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მდებარე ჩინეთის საკონსულო დახურა.

## რუსეთი კოსმოსის მშვიდობიან გამოყენებას ემუქრება

**ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი რუსეთს კოსმოსში სატელიტური იარაღის გაშვებაში ადანაშაულებენ. ვაშინგტონი და ლონდონი ამტკიცებენ, რომ მოსკოვმა იარაღის მსგავსი მოწყობილობა ღია სივრცეში თანამგზავრიდან გაუშვა.**

ბრიტანეთის კოსმოსის დირექტორატის ხელმძღვანელის ჰარვი სმიტის განცხადებით, მსგავსი ქმედება საფრთხეს უქმნის კოსმოსის მშვიდობიან გამოყენებას და ქმნის ისეთი ნამსხვრევების წარმოქმნის რისკებს, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას თანამგზავრებს და კოსმოსურ სისტემებს, რომლებზეც მსოფლიო არის დამოკიდებული.

დასავლური მედია წერს, რომ ინციდენტი კოსმოსში შეიარაღების ახალი შეჯიბრის შესაძლებლობას გაამძაფრებს, რამდენადაც სხვა ერები ასევე იკვლევენ ტექნოლოგიებს, რომლებიც შეიძლება, იარაღად იქნეს გამოყენებული ღია სივრცეში.

## ინციდენტი ცაში

**ისრაელის სამხედრო თვითმფრინავის „სახიფათო მანევრის“ შედეგად, ირანულ სამგზავრო თვითმფრინავში რამდენიმე მგზავრი დაშავდა. ირანული მედიის ინფორმაციით, ინციდენტი სირიის დედაქალაქ დამასკოს საჰაერო სივრცეში მოხდა.**

ირანული სამგზავრო თვითმფრინავი თეირანი-ბეირუთის რეისს ასრულებდა, რა დროსაც სირიის ტერიტორიაზე ავიალაინერს ისრაელის სამხედრო თვითმფრინავი მიუახლოვდა, რის გამოც პილოტმა სიმაღლის მკვეთრი შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. ინციდენტის შედეგად, რამდენიმე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო. სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს, რომ ერთ-ერთ მგზავრს სახეზე სისხლის კვალი ეტყობა, მეორე მგზავრი კი თვითმფრინავის იატაკზე წევს. ინციდენტის შემდეგ, ირანული სამგზავრო თვითმფრინავი ბეირუთის აეროპორტში დაეშვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0653; ევრო - 3.5518;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8994;
100 რუბლი - 4.2990; თურქული ლირა - 0.4476;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8031;
1000 სომხური დრამი - 6.3327.

**ამინდი 25 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე | +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე | +32 |
| **თბილისი:** | ღამე | +21, | დღე | +32 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge